ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 39-Ე ᲬᲚᲘ № 210 (11516) | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1959 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

## ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გაგზავნეს მისალოცი დეპეშა ბულგარეთში მონარქისტულ-ფაშისტური რეჟიმის დამხობისა და სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარების მე-15 წლისთავის გამო.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ტოდორ ჟივკოვის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. დიმიტრ განევისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ანტონ იუგოვის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში გამოთქმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უღრეესად გულითადი მილოცვა.

საბჭოთა ხალხს, ნათქვამია, კერძოდ, დეპეშაში სულითა და გულით უხარია ბულგარელი ხალხის თვალსაჩინო წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში. დეპეშაში გამოთქმულია სურვილი, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ ახალ დიდ წარმატებებს მიაღწიოს სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების გზაზე მძლავრი სოციალისტური ბანაკისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის.

ᲪᲘᲐᲚᲐ ᲧᲝᲚᲝᲑᲐᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲩᲐᲘᲝᲐ. მან თანასოფლელთა ხიუვარული და ნდობა დაიმსახურა. ამიტომ წარგზავნეს წარჩინებული მეჩაიე აფხაზეთის ახს რესპუბლიკის უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატად. ცალამ ბეჯითი შრომით მოიპოვა წარმატება. ყოველწლიურად ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალს იღებს. სოფელ ჰუბურინჯის (ცალის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს კიდევ უფრო გაიაქვა სახელი.

— ხეზონში 9.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი! — აი რისთვის იბრძვის სახელოვანი მეჩაიე, აი რა მაჩვენებლის მიღწევისათვის გამოიწვია მან სოციალისტურ შეჯიბრებაში აჩიგვარის ხაბჭოთა მეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი მარიამ ლეონტიევა.

გავა კიდევ ცოტა დრო, და გამოირკვევა ამ ორი დეპუტატი ქალის შეჯიბრების შედეგები, გამოირკვევა, ვინ გაიმარჯვა.

სურათზე: ცალელი ყოლბაია ჩაის პლანტაციაში.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## Კ. Ე. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲔᲖᲘ ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲨᲘ

**ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘ,** 7 სექტემბერი. (საკდესი). ყირიმში დასასვენებლად ყოფნის დროს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი და მისი მეუღლე — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჟანეტ ვერმერში გაეცნენ ყირიმის სამხრეთ ნაპირის ბევრ ჯანმრთელობის კერას, სამკურნალო დაწესებულებებსა და წარმტაც ადგილებს.

ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, რომელიც დასასვენებლად იმყოფება ყირიმში, მორის ტორეზთან და ჟანეტ ვერმერშთან ერთად ეწვია სევასტოპოლს. მათ შეხვდნენ უკრაინის კომუნისტური პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. პ. სურკინი, ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. მ. ფილიპოვი, შავი ზღვის ფლოტის სარდალი ვ. ა. კასატონოვი და სხვები.

სტუმრებმა დაათვალიერეს მეკვინანეობის საბჭოთა მეურნეობა „ხოლოტაია ბალკა“, შემდეგ წავიდნენ საპუნგორაზე, სადაც დაათვალიერეს გმირი საბჭოთა მეორების ძეგლი — დიორამა „საპუნგორის იერიში“.

სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ ლეგენდარულ მალახოვის ყორღანზე. კ. ე. ვოროშილოვმა, მორის ტორეზმა და მისმა მეუღლემ დარგეს თითო ახალგაზრდა ხე ხალხთა მეგობრობის ხეივანში.

მალახოვის ყორღანზე გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ კ. ე. ვოროშილოვი, მორის ტორეზი და ჟანეტ ვერმერში, მათ მადლობა გადაუხადეს სევასტოპოლელებს გულთბილი მიღებისათვის. შემდეგ სტუმრებმა მოიარეს სევასტოპოლი, ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკი.

## ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ**

**მოძმე ბულგარელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — თავისუფლების დღეს მიეძღვნა თბილისის საზოგადოებრიობის საქალაქო კრება, რომელიც 8 სექტემბერს საღამოს გაიმართა.**

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქარხნებისა და ფაბრიკების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები, სტუდენტი ახალგაზრდობა.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ. დიდებულად გაიხსენა ბულგარეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

მოხსენებაში ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — თავისუფლების დღის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ. 15 წელი გავიდა იმ დღიდან, თქვა მომხსენებელმა, რაც ბულგარელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა არმიის გადამწყვეტი დახმარებით დაამხო მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურა და დაამყარა სახალხო ხელისუფლება.

მოხსენებაში მოყვანილი იყო ციფრები და ფაქტები, რომლებითაც მკაფიოდ დასურათებულია ბულგარეთის მშრომელთა წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, რაც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ბულგარელი ხალხი მტკიცე რწმენით მიდის სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით, სარგებლობს საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებითა და მხარდაჭერით. ჩვენი ორი ხალხის —ძმეზე ხალხების მეგობრობა მარადიული და ურღვევია. მას მდიდარი ტრადიციები აქვს და შორეულ წარსულში იწყება. ეს მეგობრობა გაიზარდა, გამოიწრთო და განმტკიცდა ჩვენი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საერთო ბრძოლაში, მშვიდობისათვის, კაცობრობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

სიტყვა ეძღვნა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ხარატს პ. ზუბრიცკის. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაული ხაბჭოთა ადამიანების დღესასწაულიც არის, იმიტომ, რომ საბჭოთა ხალხი და ბულგარელი ხალხი არიან ძმები, სულიერი ძმები, ძმები ბრძოლაში, რომელსაც ისინი ეწევიან სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, მშვიდობისათვის.

უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. გაფრინდაშვილმა თბილისის ქალიშვილთა და ჭაბუკთა სახელით გულითადად მიულოცა ბულგარელ ხალხსა და მის სახელოვან ახალგაზრდობას დღესასწაული და აყვავება უსურვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა. იგი აღნიშნავს, რომ მეგობრობა, რომელიც განმტკიცდა ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის საუკეთესო შვილების სისხლით ნათელ მომავლისათვის ბრძოლაში, განუწყვეტლივ ვითარდება და ფართოვდება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის საკეთილდღეოდ.

ნათელი, მეგობრული გრძნობები ცოცხლობენ საბჭოთა ადამიანებისა და ბულგარეთის მშრომელთა გულში. ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის დღეს ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენი მეგობრებისადმი სიყვარულის, ღრმა პატივისცემისა და გულწრფელი მეგობრობის გრძნობებს.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით. (საქდესი).

## ᲛᲝᲠᲘᲡ ᲢᲝᲠᲔᲖᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲛ ᲓᲐᲠᲒᲔᲡ ᲗᲘᲗᲝᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲮᲔ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲨᲘ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲚᲝᲑᲚᲝᲨᲘ

★ ★ ★

### Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲓᲚᲘ

**ᲐᲥᲛᲝᲚᲘᲜᲡᲙᲘ.** (საკდესი). ყამირის საბჭოთა მეურნეობის „ზარეჩნის“ პარკში გაიხსნა კომუნისტური პარტიის ორგანიზატორისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი. მოედანზე, სადაც აგებულია ძეგლი, გაიმართა მიტინგი. ყამირის დამპყრობლებმა ყვავილთა თაიგულებით შეამკეს ძეგლის კვარცხლბეკი.

### ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. პ. თ. იუდინი დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა **ლენინის** ორდენით.

### ᲙᲘᲜᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურებს — ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. აიზენჰაუერის ურთიერთ ვიზიტების მომავალ გაცვლასთან დაკავშირებით დოკუმენტალური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ მოამზადა სპეციალური გამოშვება კინოჟურნალისა „კაცობრიობის დიდი იმედი“, რომელიც გამოვიდა ეკრანებზე.

გამოშვებაში შეტანილია: ხაბჭოთა გამოფენა ნიუ-იორკში და ამერიკის ეროვნული გამოფენა მოსკოვში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეების ა. ი. მიკოიანისა და ფ. რ. კოზლოვის ყოფნა ამერიკის შეერთებულ შტატებში; აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ რ. ნიქსონის ყოფნა სსრ კავშირში. კინოკადრებში აღბეჭდილია პრესკონფერენციები, რომლებიც ვიზიტების გაცვლასთან დაკავშირებით მოაწყეს დ. აიზენჰაუერმა ვაშინგტონში და ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში.

კინოჟურნალი მოგვითხრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო გამოხმაურებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების მომავალი შეხვედრების გამო.

ხუთ სექტემბერს გამოსულ კინოჟურნალში „ახალი ამბები“ დოკუმენტალური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ შეიტანა საბჭოთა ადამიანების — ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის შოფერ-გამომცდელის ვ. ა. იგნატიევის, დიასახლის ა. მ. გორდეიენკოს, აკადემიკოს ვ. ა. ენგელგარდტისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ი. შევცოვის გამონათქვამები ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრების შესახებ.

5 სექტემბერს მოსკოვის კინოთეატრების ეკრანებზე დაიწყო დემონსტრაცია ფერადი სპეციალური გამოშვებისა „ხახალხო დღესასწაული სტანიცა ვეშენსკოეში“, რომელზეც აღბეჭდილია ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნა სტეპრად მ. ა. შოლოხოვთან. (საკდესი).

### ᲓᲘᲝᲠᲐᲛᲐ „ᲡᲐᲞᲣᲜ-ᲒᲝᲠᲐᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ“

სევასტოპოლი. (საკდესი). გრეკოვის სახელობის სტუდიის მხატვრებმა დაამთავრეს მუშაობა ბატალური ფერწერის ახალი ნაწარმოების, საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი დიორამის „სპუნ-გორას იერიშის“ შესაქმნელად. ტილოს ზომა აღემატება 135 კვადრატულ მეტრს. ნატურის გეგმაა 80 კვადრატული მეტრი.

სურათის ავტორმა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. მალცევმა და მასთან ერთად მომუშავე პანორამისტებმა გ. მარჩენკომ და ნ. პრისეკინმა დიორამას საფუძვლად დაუდეს საბჭოთა არმიის მეომართა 1944 წლის 7 მაისის დაძაბული ბრძოლის ცენტრალური ეპიზოდი, ბრძოლისა ფაშისტ დამპყრობთაგან სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის.

ამჟამად სპუნ-გორას მწვერვალზე აგებულ მუზეუმის ახალ შენობაში პ. მალცევის ხელმძღვანელობით იდგმება ფერწერის ტილო და წინა პლანი.

## ᲒᲠᲘᲖᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

### ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. პ. თ. იუდინი დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა **ლენინის** ორდენით.

## ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

გერმანელთა ფაშისტური რეჟიმისაგან ბულგარეთის განთავისუფლების მეთხუთმეტე წლისთავის დღესასწაულზე 8 სექტემბერს მოსკოვიდან სოფიაში გაფრინდა საბჭოთა დელეგაცია. მას მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. უსტინოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ს. ბირიუზოვი, უკრაინის კპ ნიკოლაევის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ს. მალენკინი, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ა. ა. პოპოვი და სხვები. (საკდესი).

## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ

ეს სურათი ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა ამიერკავკასიის ა. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში გადაიღო. მასზე გამოსახული მეფოლადე, რომელიც მორიგი დნობის განხორციელების შემდეგ კმაყოფილების გრძნობით იღიმება, რუსთავის მკვიდრი როდეა. იგი ამ დღეებში ქალაქ სტალინის მეტალურგიული ქარხნის დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა რუსთავში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესამოწმებლად და ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე სტალინის დელეგაციის წევრმა მეფოლადე გ. კლიმენკომ სურვილი გამოთქვა, რომ იგი რუსთავის ქარხნის მარტენის ერთ-ერთ ღუმელზე აჩვენებდა თავის გამოცდილებას და ფოლადს, რომელსაც ის გამოადნობდა, მეგობრობის ფოლადი დაერქმეოდა.

ეს ასეც მოხდა. გ. კლიმენკომ რუსთაველ მეგობრებს პრაქტიკულად უჩვენა ფოლადის დნობის თავისი გამოცდილება. ქართველმა ამხანაგებმა გულთბილად მიესალმეს გ. კლიმენკოს მეგობრობის ფოლადის გამოდნობის დამთავრება.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ

ეს სურათი ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა ამიერკავკასიის ა. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში გადაიღო. მასზე გამოსახული მეფოლადე, რომელიც მორიგი დნობის განხორციელების შემდეგ კმაყოფილების გრძნობით იღიმება, რუსთავის მკვიდრი როდეა. იგი ამ დღეებში ქალაქ სტალინის მეტალურგიული ქარხნის დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა რუსთავში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესამოწმებლად და ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე სტალინის დელეგაციის წევრმა მეფოლადე გ. კლიმენკომ სურვილი გამოთქვა, რომ იგი რუსთავის ქარხნის მარტენის ერთ-ერთ ღუმელზე აჩვენებდა თავის გამოცდილებას და ფოლადს, რომელსაც ის გამოადნობდა, მეგობრობის ფოლადი დაერქმეოდა.

ეს ასეც მოხდა. გ. კლიმენკომ რუსთაველ მეგობრებს პრაქტიკულად უჩვენა ფოლადის დნობის თავისი გამოცდილება. ქართველმა ამხანაგებმა გულთბილად მიესალმეს გ. კლიმენკოს მეგობრობის ფოლადის გამოდნობის დამთავრება.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ

## ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

1959 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

| | ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲝᲑᲘᲗ | ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲘᲡᲒᲐᲜᲘᲗ |
|---|---|---|
| ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ | 93,6 | 17,4 |
| ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ | 91,4 | 14,6 |
| ᲭᲘᲥᲝᲠᲘ | 92,0 | 11,1 |
| ᲡᲣᲚ ᲐᲑᲐᲠᲘᲡ ᲐᲑᲡᲠ-ᲨᲘ | 93,0 | 16,6 |
| ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ | 102,4 | 18,4 |
| ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ | 92,5 | 7,4 |
| ᲡᲝᲩᲝᲛᲘᲡ | 94,9 | 7,1 |
| ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ | 93,4 | 5,1 |
| ᲡᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲑᲡᲠ-ᲨᲘ | 97,7 | 9,4 |
| ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ | 97,2 | 18,6 |
| ᲩᲝᲑᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ | 101,8 | 25,9 |
| ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ | 96,8 | 17,0 |
| ᲡᲐᲛᲔᲠᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ | 93,9 | 7,1 |
| ᲬᲘᲚᲣᲚᲥᲝᲓᲘᲡ | 90,4 | 15,2 |
| ᲬᲘᲚᲐᲚᲔᲗᲘᲡ | 109,4 | 34,1 |
| ᲪᲘᲥᲘᲡᲬᲘᲡ | 129,3 | 42,3 |
| ᲪᲮᲚᲐᲘᲐᲡ | 105,0 | 25,5 |
| ᲐᲑᲐᲨᲘᲡ | 100,0 | 25,4 |
| ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ | 100,2 | 16,6 |
| ᲨᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ | 100,0 | 33,4 |
| ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ | 102,1 | 24,9 |
| ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲡ | 105,5 | 24,7 |
| ᲩᲝᲑᲝᲡ | 104,1 | 10,8 |
| ᲗᲔᲗᲠᲬᲚᲘᲡ | 94,0 | 8,8 |
| ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ | 103,3 | — |
| ᲪᲐᲚᲘᲡ | 87,5 | — |
| ᲥᲐᲚ. ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ | 174,2 | 16,7 |
| ᲥᲐᲚ. ᲤᲝᲗᲝᲜᲘ | 100,0 | — |
| ᲡᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ-ᲨᲘ | 98,7 | 18,0 |
| ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ. | | |

## ᲝᲩᲩᲐᲛᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ოჩჩამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 7 სექტემბრისათვის შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 2.527 ტონა ხარისხოვანი ჩაი ნაცვლად 2.510 ტონისა. მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავად სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

## ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲒᲣᲚᲜᲘ

**ᲮᲐᲩᲮᲘᲠᲘᲡ** რაიონის კოლმეურნეობებმა 1 სექტემბრისათვის შეასრულეს რძის წარმოების წლიური გეგმა. ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 909 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ლიტრისა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 192 ლიტრით მეტი.

საჩხერელმა მეცხოველეებმა თეთრწყაროელთა მიმართვის პასუხად ვალდებულება იკისრეს წელს ერთ საფურაქე ძროხაზე წველადობა აიყვანონ 1.200 ლიტრამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებული იქნება 330 ლიტრით მეტი რძე.

## ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

როგორც გამოცხადებულია იყო 1959 წლის 5 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრების უენევის თათბირის დახურვის წინ, საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს შესაძლებლობანი, რომლებსაც შეუძლიათ უფრო ეფექტიანად უზრუნველყონ პროგრესი შემდგომ მოლაპარაკებაში განიარაღების საკითხზე. ამჟამად მიღწეულია შეთანხმება საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის განიარაღების საკითხთა განსახილველი კომიტეტის დაარსების შესახებ. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება, რომ განიარაღების საკითხთა კომიტეტის წევრები იქნებიან სსრ კავშირი, შეერთებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ბულგარეთი, იტალია, კანადა, პოლონეთი, რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია იმ პირობით, თუ ამის თანახმა იქნება ყველა ჩამოთვლილი სახელმწიფო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება აღიარებს, რომ განიარაღების საკითხები საყოველთაო ინტერესისა და ზრუნვის საგანია. ამის შესაბამისად პასუხისმგებლობა განიარაღების დარგში საერთო ღონისძიებებისათვის საბოლოო ანგარიშით ეკისრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. განიარაღების საკითხთა კომიტეტის დაარსება სრულებითაც არ ამცირებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლობას ამ დარგში და არ ნიშნავს მის ხელყოფას. კომიტეტის შექმნის დროს მხედველობაში მიიღება დიდ ხელმწიფოთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება მათ შეთანხმების საფუძვლის განსაზღვრის მხრივ.

ოთხ მთავრობას ეს კომიტეტი მიაჩნია სასარგებლო საშუალებად ამისათვის, რომ ურთიერთ კონსულტაციის გზით გამოვლინდეს გზები შესაძლო პროგრესისა ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში ყველა ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ ისეთ შეთანხმებათა და რეკომენდაციათა მიმართულებით, რომლებიც შეიძლება უწინარეს ყოვლისა უშუალოდ ეხებოდეს ამ განხილვის მონაწილე ქვეყნებს. ამას გარდა, ოთხ მთავრობას იმედი აქვს, რომ ამ განხილვის მსვლელობაში მიღწეული შედეგები უზრუნველყოფენ სასარგებლო საფუძველს იმისათვის, რომ განიარაღების საკითხი განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

ოთხი მთავრობის განზრახვა ის არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების საკითხთა კომისიას შესაბამისად ეცნობოს იმ პროგრესის შესახებ, რომელსაც მიაღწევს კომიტეტი განხილვის მსვლელობაში. ამ მიზნით ოთხი მთავრობა შეთანხმდა, რომ კომიტეტი მოხსენებებს თავის მუშაობის შესახებ წარუდგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების საკითხთა კომისიას და მისი საშუალებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს. პირველი ღონისძიება ამ მიმართულებით იყო ის, რომ მან მიმართეს თხოვნით გენერალურ მდივანს, 1252-დ (XIII) რეზოლუციის შესაბამისად, მოიწვიოს განიარაღების კომისია 1959 წლის ხექტემბრის განმავლობაში, თუ ეს შესაძლებელია, რათა კომისიის წევრებს სრულად გააცნონ განიარაღების საკითხთა კომიტეტის ხასიათი და მიზნები.

ოთხი მთავრობა მოაწყობს კონსულტაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან იმის შესახებ, რომ მომსახურების შესაბამისი სახსრები მიეცეს ახლად დაარსებულ კომიტეტს. მათ იმედი აქვთ, რომ კომიტეტი თავის მუშაობას უენევაში დაიწყებს 1960 წლის დამდეგს.

# პარტიული კონტროლი

## შვიდწლედისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღია

**ბიათურა.** (საკ. კორ.). გაიმართა პარტიული კონტროლის კომისიების თავმჯდომარეთა საქალაქო თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების მდივნები.

თათბირმა მოისმინა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის უ. სხირტლაძის ინფორმაცია პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის შესახებ.

სტალინის სახელობის მაღაროს პარტბიუროსთან არსებული შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ, მაღაროს შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსმა ბ. კუპატაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა:

— მაღაროს პირველ უბანში არ სრულდებოდა შრომის ნაყოფიერების დავალება. ჩვენმა კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა უბანში შექმნილი ვითარება. გამოირკვა, რომ სანგრივების წესიერად არ ამზადებდნენ, მექანიზმებს სრული დატვირთვით ვერ იყენებდნენ, შრომის ორგანიზაცია მოიკოჭლებდა. საკითხი პარტიულ ბიუროში დავაყენეთ. ბიურომ საკითხი სხდომაზე დასვა. იქ საქმიანად ვიმსჯელეთ. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. განხორციელებაზე კონტროლი დაწესდა. უბანში ბევრი რამ გაკეთდა და ახლა იგი დავალებებს წარმატებით ასრულებს. ასევე შევისწავლეთ და დავაყენეთ მესამე და მეოთხე უბნებში მადნის მექანიზებული ტვირთვის დანერგვის საკითხი.

მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს პარტბიუროსთან არსებული კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ, ინჟინერმა თ. სამხარაძემ განაცხადა: — ჩვენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტების შეკვეთებს ვასრულებთ. პარტიული კონტროლის კომისიამ მტკიცე მეთვალყურეობა დააწესა შეკვეთების დაჩქარებაზე და ამან კეთილმყოფელი გავლენა იქონია საქმეზე. ასეთ კონტროლს კვლავაც გავაგრძელებთ და მას უფრო საქმიანს გავხდით.

ლენინის სახელობის მაღაროში პარტიული კონტროლის კომისიების პრაქტიკულ საქმიანობაზე ილაპარაკა მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. მეცხოვრიშვილმა. მან აღნიშნა, რომ უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები მარგანეცის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მადნის თვითღირებულების შემცირების კონტროლის კომისიების კომისიებმა, რომლებსაც ინჟინრები მ. ფხალაძე და ზ. ციცვიძე ხელმძღვანელობენ. მათ შეისწავლეს და დააყენეს ნეშვიდე უბნის რენტაბელური მუშაობის საკითხი, ამჟამად ამზადებენ პირველ უბანში სამაგრი მასალის მომჭირნეობით გამოყენების საკითხს. კომისიის აქტიური მონაწილეობით მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკაში 5 პროცენტით შემცირდა მადნის დანაკარგები. ამხ. მეცხოვრიშვილმა თქვა, რომ პარტიული კომიტეტი ყოველდღიურად უხელმძღვანელებს პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობას, უყურადღებოდ არ დატოვებს კომისიების შენიშვნებსა და სიგნალებს.

თათბირზე ურთიერთს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ვოროშილოვის სახელობის მაღაროს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ინჟინერმა ვ. თურქაძემ, დიმიტროვის სახელობის მაღაროს ახალი ტექნიკის დანერგვის, ავტომატიზაცია-მექანიზაციის კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ელექტნიკოსმა ს. ნეფარიძემ, მარგანტრესტის სატრანსპორტო განყოფილების პარტბიუროს მდივანმა ვ. ნოზაძემ და სხვ., რომლებმაც საგულისხმო საკითხები დააყენეს.

ლენინის სახელობის მაღაროში პარტიული კონტროლის კომისიების პრაქტიკულ საქმიანობაზე ილაპარაკა მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. მეცხოვრიშვილმა. მან აღნიშნა, რომ უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები მარგანეცის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მადნის თვითღირებულების შემცირების კონტროლის კომისიების თავმჯდომარემ ინჟინერმა ვ. თურქაძემ, დიმიტროვის სახელობის მაღაროს ახალი ტექნიკის დანერგვის, ავტომატიზაცია-მექანიზაციის კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ელექტნიკოსმა ს. ნეფარიძემ, მარგანტრესტის სატრანსპორტო განყოფილების პარტბიუროს მდივანმა ვ. ნოზაძემ და სხვ., რომლებმაც საგულისხმო საკითხები დააყენეს.

## კომისიებმა გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს

ლენინის სახელობის მაღაროში მარგანეცის გამამდიდრებელმა ფაბრიკამ ხუთი პროცენტით შეამცირა მადნის დანაკარგები.

სტალინის სახელობის მაღაროს პირველ უბანში შრომის ორგანიზაცია გამოსწორდა.

# „მინდვრის დედოფალი“

## სიმინდის გამოფენა გურჯაანში



**გურჯაანში** 5 სექტემბერს დიდი დღესასწაული იყო. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კულტურისა და დასვენების პარკი, ხოლო პარკის ცენტრალურ ადგილას, ფართო მოედანზე — სიმინდის რაიონული გამოფენა. სიმინდის გამოფენაზე წარმოდგენილი იყვნენ რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. როგორც ცნობილია, ეს შეჯიბრება დაიწყო მოწინავე მესიმინდეების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ინიციატივით, რომლებმაც მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს სსრ მესიმინდეებსა და მექანიზატორებს მიმართეს მოწოდებით გაეჩიჩინებინათ ბრძოლა მიმდინარე წელს საშუალოდ ჰექტარზე 20,6 ცენტნერი სიმინდის (მარცვლად) და 235 ცენტნერი მწვანე მასის მიღებისათვის.

რაიონის კოლმეურნეობები პირნათლად რომ ასრულებენ პირობას, ამაზე მეტყველებენ სიმინდის რაიონული გამოფენაზე წარმოდგენილი ცოცხალი ექსპონატები და დიაგრამები, სიმინდის მოსავლიანობის წინასწარი მაჩვენებლები.

### 1.

ამ ტერიტორიაზე ორიოდე დღის წინათ არაფერი არ იყო. ახლა კი სიმინდის ღერების უდიდესი მწვანე ტყე აღმართულა. ვერც კი გაარჩევთ, რომელი რომელს უტოლდება, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმაღლეში, სიმსხოსა და ტარების სიმრავლისათვის ბრძოლაში.

კოლმეურნეობათა უმრავლესობამ მოიპოვა უფლება მიეღო მონაწილეობა სიმინდის რაიონულ გამოფენაზე. აქ წარმოდგენილია კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. რა არ შესძლებია ადამიანის მარჯვენას! ჭეშმარიტად, სიმინდი უდიდეს შესაძლებლობათა კულტურაა, რომელსაც ხალხმა სამართლიანად შეარქვა „მინდვრის დედოფალი“.

გურჯაანელ მესიმინდეებს ძალლონე არ დაუზოგავთ, რათა მოეპოვებინათ ამ საქმეში თვალსაჩინო წარმატებანი, რომელთა საჯაროდ გამოტანა და ფართო საზოგადოებისათვის ჩვენება ასახელებდათ. მათ ეს ჩინებულად გააკეთეს.

აი შეიხედართ სიმინდის გამოფენის ტერიტორიაზე. მნახველის ყურადღებას იპყრობს წითელ ირმაიზე წარწერილი ლოზუნგები: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს შევხვდეთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ახალ წარმატებათა მოპოვებით!“ „ღირსეულად შეკრულთ შვიდწლეულის პირველი წლის დავალებანი!“, „სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატთა წარმატებანი ახარებს სამშობლოს“, „სიმინდისათვის ბრძოლა მეტი ხორცის, კარაქისა და რძისათვის ბრძოლაა“... მაღალი მწვანე კედლის გასწვრივ შეგიძლიათ პლაკატებსა და ეტიკეტებზე წაიკითხოთ: ოცდაათი, ორმოცდაათი, სამოცდაათი ცენტნერი მარცვლად; ორასი, სამასი, ოთხასი, ხუთასი, ექვსასი ცენტნერი მწვანე მასად ჰექტარზე. ცალკეული ბრიგადებისა და რგოლების მაჩვენებლები უფრო მეტია. საამაყო და სასიხარულო ციფრებია! ეს არის ჭეშმარიტად ადიარება იმ დიდი შრომისა და სიმინდისათვის ზრუნვისა, რაც გურჯაანელ მემინდვრეებს გაუწევიათ ამ საქმეში; ასე უხდის მიწა მადლობას მეშრომეს კოლმეურნეებს, ბეჯითი შრომის ადამიანებს.

გურჯაანელებმა კარგად იციან სიმინდის ფასი. ამ კულტურის გამოყენებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და პროტეინის პროდუქტიულობის სისტემატური ზრდის საქმეში.

— სიმინდის საკვები რომ არა, პროდუქტიულობის გადიდებაში ჩამორჩენის დაძლევას ვერ მივაღწევდით, — ამბობენ კოლმეურნეები, და ეს სავსებით მართალია.

წველადობა ხუთიოდე წლის წინათ რაიონში სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა. 1953 წელს ერთ ძროხაზე 331 კილოგრამი რძე იყო მიღებული. შარშან თვითეულ ძროხაზე 17 ტონა სილოსი დაამზადეს, სხვა საკვებიც უხვად მოიმარაგეს, ამით კი წველადობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.560 კილოგრამი რძე. წელს ნაკისრი აქვთ მოწველონ 1.800 კილოგრამი. გასული რვა თვის შედეგები მოწმობს, რომ ვალდებულებას გადაჭარბებით შესრულებენ. გურჯაანელები წელს თვითეულ ძროხაზე 20 ტონა სილოსს ამზადებენ. დღემდე უკვე ჩადებული აქვთ 30 ათასი ტონამდე, ანუ ვალდებულების 50 პროცენტი. სილოსის ჩადება კი მხოლოდ ახლა ჩაღდება.

გურჯაანელებს ჩვენს რესპუბლიკაში წველადობის გადიდების მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავთ. ისინი სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ ამ დარგში მიღწეული თვალსაჩინო შედეგებისა და ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა მოიპოვეს.

### 2.

**ვაზისუბნის** კოლმეურნეობა არა მარტო რაიონში, მთელ ჩვენს რესპუბლიკაშია ცნობილი ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანით. ამ კოლმეურნეობას 300 ჰექტარზე მეტი ვენახი აქვს. ყოველწლიურად ზრდიან ყურძნის მოსავლიანობას. სასიხარულოა, რომ ვაზისუბნელები არც სხვა დარგებს ივიწყებენ. ყველა დარგში რაიონის სხვა კოლმეურნეობების სერიოზული მეტოქეები არიან. ასეა მეცხოველეობაშიც, ასეა მარცვლეული კულტურების, კერძოდ სიმინდის დარგშიც.

ეცნობით ვაზისუბნელთა მაჩვენებლებს და გოცებული რჩებით. მევენახეობის ამ საქმეყნოდ ცნობილმა კოლმეურნეობამ უკანასკნელ წლებში სიმინდის მართლაც სარეკორდო მოსავალი მოიყვანა. დიაგრამები გვამცნობენ: 1953 წელს ჰექტარზე მიიღეს 18,7 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ამ წელს მწვანე მასა არ მიუღიათ. 1958 წელს 173 ჰექტარი ფართობის 1 ჰექტარზე 67,4 ცენტნერი მარცვალი მიიღეს, მწვანე მასა კი — 300 ცენტნერი.

— წელს რამდენს მიიღებთ? — ვეკითხებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვმზ. მ. იაშვილს.

— სულ ცოტა 70 ცენტნერს მარცვლად, 500 ცენტნერს კი მწვანე მასად.

თავმჯდომარემ გვიამბო, რომ მიწის სიმცირე საშუალებას არ აძლევთ უფრო მეტად გაადიდონ სიმინდის ნათესების ფართობი. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნაკლებ ფართობზე რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოიყვანონ.

აი ბაკურციხის კოლმეურნეობის ექსპონატები. მესიმინდეობაში ამ კოლმეურნეობის მოწინავეები რესპუბლიკაშია ცნობილი. მოწინავე მესიმინდეთა რესპუბლიკურ თათბირზე აღნიშნული იყო, რომ „შარშან ამ არტელმა საშუალოდ ჰექტარზე 66 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო ამ კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც მარო ყარამნიშვილი ხელმძღვანელობს, 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 75 ცენტნერი მიიღო. თუ შეადარებთ, რომ 1953 წელს აქ ჰექტარზე მიღებული ჰქონდათ მხოლოდ 10 ცენტნერი სიმინდი, გასაგები გახდება, რა დიდი ცვლილებებია მომხდარი ამ მხრივ კოლმეურნეობაში. სწორედ ეს იყო იმის საფუძველი, რომ წველადობა შესამჩნევად გაზრდილიყო. მართლაც 1953 წელს თვითეულ ძროხაზე მოწველილი იყო 386 ლიტრი, 1958 წელს კი 1.953 ლიტრამდე. წელს ნაკისრი აქვთ ერთ ძროხაზე მიიღონ 2.200 ლიტრი რძე. 1 სექტემბრისათვის მოწველილი ჰქონდათ 1.600 ლიტრი.

### 3.

**განა საჭიროა** მაგალითების კიდევ ჩამოთვლა! აღვნიშნავთ, რომ წელს სიმინდის კარგი მოსავალი მოიყვანეს ყველგან, სადაც კი მზრუნველობით მოუარეს ამ კულტურას. ამაზე მეტყველებენ გამოფენის ექსპონატები, კოლმეურნეობათა ციფრობრივი მაჩვენებლები.

ყოველივე ეს იმის შედეგად მოხდა, რომ რაიონში ამაღლდა სიმინდის მოყვანის აგროტექნიკის დონე. აი რა ვქნათ ამის შესახებ პარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. დავითაშვილმა.

— ცხადია, ჩვენთან ჯერ კიდევ არიან კოლმეურნეობები, რომლებიც სათანადოდ არ აფასებენ სიმინდს და ნაკლებ მოსავალსაც იღებენ. ამიტომ მათ უნდა ვალდებულებათ ხორცისა და რძის წარმოების ვალდებულებათა შესრულება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობამ სიმინდის მაღალ მოსავლიანობას მიაღწია. ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში სხვადასხვა ჯიშის სიმინდი უთესიათ, კერძოდ: „ქართული კრუკი“, „ყაზბეგი“, „თეთრნახევარკბილა“, „სიმრიდი“ და „კრასნოდარი-5“. კვადრატულ-ბუდობრივად ნათეს მთელ ფართობზე ჩატარებულია ორმხრივი კულტივაცია. სიმინდმა ორი-სამი ტარო დაიყარა. წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 73 ცენტნერს მარცვლად და 600 ცენტნერ მწვანე მასას. ეს შემთხვევითი როდია. სადაც სიმინდს კარგად მოუვლეს, მოსავალსაც უხვს მიიღებენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სასიხარულო ფაქტი, რომ სიმინდის მოყვანაში წელს დიდად ამაღლდა მექანიზაციის დონე. რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში სიმინდი დათესეს მხოლოდ მანქანებით, კვადრატულ-ბუდობრივად, ამის შედეგად დაზოგილ იქნა ათასობით შრომადღე, ხოლო როგორია მოსავალი! ქ. გურჯაანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. შაშიაშვილი) 190 ჰექტარ ფართობზე ნათესი სიმინდი მთლიანად მანქანებით დაამუშავა. ჰექტარზე მიიღებს სულ ცოტა 80 ცენტნერს მარცვლად და 700 ცენტნერ მწვანე მასას. ამაზე მეტყველებენ გამოფენის ექსპონატები.

**ა. კოკილაშვილი,**
**ს. ჭოჩლაძე,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

* * *



**სურათებზე:** ზემოდან — გურჯაანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სტენდთან; „აი როგორი სიმინდი მოვიყვანეთ!“ — სიამაყით აცხადებს ბაკურციხელი კოლმეურნე ა. ძველიშვილი; გურჯაანის ახალგაზრდა კულტურისა და დასვენების პარკის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო შ. გოჩაძისა.

# „მშვიდობის წყაროს“

**თუ** ამ უკანასკნელ წლებში წნორი დანლაგოდეხისაკენ გიმოგზაურიათ, შეუდგებით თუ არა ფართო კეთილმოწყობილ გზატკეცილს, აუცილებლად შეამჩნევდით მის მარჯვენა მხარეს მოჩუხჩუხე წყაროს წყალს. ამ ექვსიოდე წლის წინათ აქ მიწას ჭაბურღილი დაკრეს, ამოხეთქილ წყალს კედელი აუმართეს და სახელად „მშვიდობის წყაროს“ შეარქვეს.

აი, ამ წყაროსთან, ალაზნის ველის ნოყიერ მიწაზე, განთიადიდან დაღამებამდე არ წყდება ავტომანქანებისა და ტრაქტორების, სელოსსაჭრელი კომბაინისა და საწნეხი მანქანების მოტორების გუგუნი. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ამ ხმაურს რიტმულად ერთვის კოლმეურნეთა ხალისიანი შრომის გამოძახილი და შორიდანვე კაცს ისე მოესმის, თითქოს ერთი გაბმული სიმფონიაა, ამ ზღაპრულ შვიდწლედში დაბადებული.

უკვე რამდენიმე კვირა გავიდა მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დამთავრებიდან, მაგრამ კოლმეურნეობაში საქმეს რა გამოლევს!..

გახურებული შრომის ფერხული საქობოელ მეცხოველეებს გაუმართავთ.

სიღნაღის რაიონში კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობას კარგა ხანია, რაც ერთ-ერთ მოწინავედ ფიქრობენ, მაგრამ მეცხოველეობის ფერმების მუშაკებს ჯერ კიდევ დიდი, ძალიან დიდი შრომა აქვთ გასაწევი. მარტო ის, რომ წლევანდელთან შედარებით მომდევნო ორი წლის განმავლობაში ძროხის სულადობის გაზრდა 100 სულით გაითვალისწინეს, საქობოელებისაგან მოითხოვს არა მარტო პირუტყვისათვის კარგი ბინების მშენებლობას და მეძროხეობის ფერმების გონივრულ დაკომპლექტებას, არამედ ამასთანავე მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

სწორედ ამიტომ არის, რომ საკვებმოპოვების ბრიგადის წევრებთან ერთად მემინდვრეობის ბრიგადის კოლმეურნეებიც აქ მოსულან დასახმარებლად.

* * *

„მშვიდობის წყაროსთან“ მაშინ მივედით, როცა ნაწილი კოლმეურნეებისა ჩალის მოჭრაზე მუშაობდა, სხვები კი საწნეხ მანქანასთან ტრიალებდნენ.

— გაგიმარჯოთ! — თითქოს ყველას მაგივრადო, გვიპასუხა ჩვენს მისალმებაზე მორჩილი ტანის შუახანსგადასულმა სახეგოლიმარმა კაცმა.

— ვასო ხანდოლიშვილი. — პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ უცვლელად ხლმძღვანელობს საკვებმოპოვების ბრიგადას, უნარიანი კაცია, — ასე წარმოგვიდგინა იგი კოლმეურნეობის უფროსმა ზოოტექნიკოსმა დიმიტრი ზურაშვილმა.

— იცით რა ბიჭები გვყავს? არწივები არიან, მარდები, მოქნილები, — ჩამოართვა სიტყვა ბრიგადირმა, — მათ უნდა ვუმადლოდეთ, რომ უკვე დავამთავრეთ სილოსის ჩადება, რაც გეგმით გვქონდა გათვალისწინებული, ახლა კი უკვე გეგმის ზევით ვმუშაობთ, — თან თითქოს ვიღაცას ეძებსო, განაგრძო: — რა ვქნა, რომელი გაგაცნოთ? ყველა კარგია ბრიგადაში, არავის ვემდურებით. აი ნიკო ჩახნაშვილი, ან კიდევ ვასილ სიფრაშვილი, ალექსი ჩახნაშვილი... ერთი სიტყვით, ყველას ვერ ჩამოვთვლი.

არც ქალები ჩამორჩებიან ბიჭებს. მარგო ტარუღიშვილს და ეთერ ჩახნაშვილს რომელი ვაჟკაცი შეედრება. ეს ხანდოლიშვილის ქალიშვილი კი, ვენერა, ერთი წელია, რაც ბრიგადაში მოვიდა, შარშან საშუალო სკოლა დამთავრა და ახლა გამოცდილი ადამიანივით მუშაობს.

კიდევ დიდხანს ვუსმენდით ამ ენერგიული კოლმეურნის საუბარს და გვჯეროდა, რომ მის ბრიგადაში შრომის ორგანიზაცია მართლა კარგი საათივით იყო მომართული.

— წელს ხელი იმანაც შეგვიწყო, — თქვა უფროსმა ზოოტექნიკოსმა, — რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მთლად ჩვენს განკარგულებაშია. აღარ გვჭირდება კამათი მტს-ის დირექტორთან ტრაქტორის ან სილოსსაჭრელი კომბაინის დროულად მიღებაზე. მანქანებს ახლა გაცილებით უფრო რაციონალურად ვიყენებთ.

— ავტომანქანებიც კარგად გვემსახურება, — ლაპარაკში ჩაერია ისევ ბრიგადირი, — თვითეული ავტომძღოლი დღეში 10-12 გზა სასილოსე მასას ეზიდება.

* * *

მეორე დღეს ამ კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში მოვხვედით.

მახსოვს, წინათ აქაური გლეხი ირონიულად იტყოდა ხოლმე:

„დაკარგული ძროხა ცხრა ლიტრ რძეს იწველიდაო“.

ამ ანდაზით დასცინოდნენ მოსაუბრეს, რომელიც ან დაკარგულ ნივთს ან გაცრუებულ რაღაც იმედს მისტიროდა და გაზვიადებულად აქებდა.

ამ ანდაზას საფუძველიც ჰქონდა.

დღეში ერთ ძროხაზე ცხრა ლიტრი რძის მიღება რაღაც მიუწვდომელ ოცნებად იყო ქცეული.

ამ უკანასკნელ წლებში კი კახეთში თითქმის დაივიწყეს ეს ანდაზა. აღარც საქობოში ამბობენ მას.

კოლმეურნეობას ახლა ბევრი ჯიშიანი ძროხა ჰყავს. და განა მარტო ჯიშიანი?

ადგილობრივი ძროხებიდანაც, რომლებიც წინათ მთელი წლის განმავლობაში 300-350 ლიტრ რძეს ძლივს იძლეოდნენ, ახლა საშუალოდ 1400-1500 ლიტრს იღებენ. მარტო გასული წლის მაჩვენებლებით რომ ვიანგარიშოთ, კოლმეურნეობაში ერთ საფურაქე ძროხაზე უკვე სამჯერ მეტი რძეა მოწველილი, ვიდრე 1953 წელს იყო.

გაეცნენ რა თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეთა მოწოდებას, საქობოელმა მეცხოველეებმა გადაწყვიტეს მიმდინარე საშეურნეო წლის დამთავრებამდე თვითეულ ძროხაზე 600 ლიტრით მეტი რძე მიიღონ, ვიდრე შარშან.

ამიტომ მეძროხეობის ბინებში ახლა განსაკუთრებული ფუსფუსი, საქმიანი მოძრაობაა.

აი ზოოტექნიკოსი გვაცნობს მოწინავე მომვლელებს:

— დუსა ტურაშვილმა 12 ძროხიდან თვითეულზე დღემდე მიიღო 1.400 ლიტრი რძე, ხოლო კატუშა აბეწვაშვილმა — 1.300 ლიტრი. ფერმაში ასეთი მაჩვენებელი უკვე ბევრმა მომვლელმა მოიპოვა.

მეძროხეობა კოლმეურნეთა საყვარელი და შემოსავლიანი დარგი ხოლო კილოგრამი აქატის თვითღირებულება შეამცირეს 10 პროცენტით, რის შედეგად სამშობლოს 174 ათასი მანეთი დაუზოგეს.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვს პამაჩის საექსპლოატაციო უბანს (უბნის უფროსი ტ. დავთაძე), რომლის სამთოელთა კოლექტივი ენერგიულად იბრძვის წლიური დავალების პირველი ნოემბრისათვის შესასრულებლად. ამ უბანზე ფართოდ ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. უახლოეს მომავალში მექანიზმები შეცვლიან შურფის ხელით გაყვანას. ეს კი 20 პროცენტით შეამცირებს შურფის გაყვანაზე დასაქმებული მუშახელის რაოდენობას, საგრძნობლად გაიაფებს პროდუქციას.

წელს შურდოს საექსპლოატაციო უბანში (უბნის უფროსი დ. შურღაია) დაინერგება ფუჭი ქანის გადასხსნის ექსკავატორული სისტემა, უველა უბნის გადასახსნელ და მოსამზადებელ სამუშაოებზე ხელით შრომა მთლიანად შეიცვლება ექსკავატორების, ბულდოზერების, თვითმცლელი ავტომანქანებისა და მოძრავი საკომპრესორო სადგურების გამოყენებით.

შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის ბრძოლის ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 180-200 პროცენტით ასრულებენ სამთო საქმის ოსტატები ვ. გოგოლაძე, ვ. მაღლაკელიძე, ი. მეედლიძე, ახალციხის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ბ. გოგოლაძე, რ. სიმონიანი, გ. სააკიანი და სხვები.

**ბ. ხვაშაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# შრომითს ვახტზე

**წელს** ახალციხელმა აქტმომპოვებლებმა იკისრეს 7 ნოემბრისათვის გაანაღდონ შვიდწლედის პირველი წლის დავალება, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 5 პროცენტით, კილოგრამი მადნის თვითღირებულება შეამცირონ 7 პროცენტით და ამ გზით სამშობლოს მისცენ 200 ათასი მანეთის ეკონომია.

ახლა აქ არ არის არცერთი უბანი, ცალკე ბრიგადა, რომ გადაჭარბებით არ ასრულებდეს საწარმოო დავალებებს. ამის შედეგია, რომ ამიერკავკასიის გეოლოგიური ექსპედიციის აქტმომპოვებლებმა 25 აგვისტოსათვის 120 პროცენტით შეასრულეს აქატის მოპოვების 8 თვის გეგმა, გეგმასთან შედარებით 7 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო კილოგრამი აქატის თვითღირებულება შეამცირეს 10 პროცენტით, რის შედეგად სამშობლოს 174 ათასი მანეთი დაუზოგეს.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვს პამაჩის საექსპლოატაციო უბანს (უბნის უფროსი ტ. დავთაძე), რომლის სამთოელთა კოლექტივი ენერგიულად იბრძვის წლიური დავალების პირველი ნოემბრისათვის შესასრულებლად. ამ უბანზე ფართოდ ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. უახლოეს მომავალში მექანიზმები შეცვლიან შურფის ხელით გაყვანას. ეს კი 20 პროცენტით შეამცირებს შურფის გაყვანაზე დასაქმებული მუშახელის რაოდენობას, საგრძნობლად გაიაფებს პროდუქციას.

წელს შურდოს საექსპლოატაციო უბანში (უბნის უფროსი დ. შურღაია) დაინერგება ფუჭი ქანის გადასხსნის ექსკავატორული სისტემა, ყველა უბნის გადასახსნელ და მოსამზადებელ სამუშაოებზე ხელით შრომა მთლიანად შეიცვლება ექსკავატორების, ბულდოზერების, თვითმცლელი ავტომანქანებისა და მოძრავი საკომპრესორო სადგურების გამოყენებით.

# სტუმრები პრაქტიკაზე

ნოვა გუტას გოტვალდის სახელობის მეტალურგიული კომბინატის დელეგაცია 10 კაცის შემადგენლობით ჩამოვიდა რუსთავში. დელეგაციის წევრები ორი თვის განმავლობაში პრაქტიკულ დაკვირვებას ჩაატარებენ „140“ დგანზე და მიღებულ გამოცდილებას დანერგავენ თავიანთ საწარმოში. გუშინ დელეგაციის წევრები ეცნობოდნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საამქროებს. (საკ. კორ.).

# „ მ ი ნ დ ვ რ ი ს დ ე დ ო ფ ა ლ ი“

**ხულო.** (საკ. კორ.). ხულოს რაიონის მაღალმთიან სოფლებში დიდი ხანია დამკვიდრდა ტრადიცია კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით ყოველწლიურად ააგონ რამდენიმე ახალი სკოლა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები, გაიფართოონ სასკოლო შენობები, ზაფხულში დაუმზადონ სკოლებს შეშა და ზაფხულშივე მოიტანონ ადგილზე.

ამ კარგ ტრადიციას ხულელებმა არც წელს უღალატეს. მიმდინარე წელს უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა 8 ახალი სასკოლო შენობა, სადაც სწავლობენ სოფლების ჩაოს, ქვედა თხილვანას, პანტნარის და უჩხოს სკოლების მოსწავლეები.

# კარგი ტრადიცია

გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე შეუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას და ბევრი რამ გააკეთეს.

РАБОТНИЧЕСКО ДЕЛО
Орган на Централния комитет на Българската комунистическа партия

## სოციალისტური ბულგარეთის 15 წლისთავი

# ხარობს, ზეიმობს ბულგარელი ხალხი

ბულგარელმა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. საბჭოთა კავშირის მშრომელები სულით და გულით ულოცავენ ბულგარელ ხალხს მოკოვებულ ისტორიულ გამარჯვებებს...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა მუდამ იყო და რჩება ყველაზე საუკეთესო, ნამდვილად ძმურ ურთიერთობად. ასეთი იყო იგი იმ დროს, როცა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას სათავეში ედგა ბულგარელი ხალხის დიდი შვილი გიორგი დიმიტროვი; ასეთი რჩება იგი მისი გარდაცვალების შემდეგაც, როცა ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სათავეში უდგანან დიმიტროვის ერთგული მიმდევრები, ერთგული მარქსისტ-ლენინელები ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მეთაურობით.

**ნ. ხრუშჩოვი.**

რთველი პლოვდივის ოლქის სოფელ ზლატიდოლის შრომითს კოოპერაციულ სამიწათმოქმედო მეურნეობაში.

ლილიანა სტეფანოვა

## ...გვასწავლიდა გიორგი დიმიტროვი

ბულგარელი ხალხის ყველაზე დიდი დღესასწაულის — განთავისუფლების 15 წლისთავის დღეებში ჩვენც, პლევნის ოლქის სოფელ იასენის კოოპერატორები, თვალს ვავლებთ გავლილ გზას. ეს იყო ისტორიული გარდაქმნების წლები, შეუპოვარი მუშაობისა და გამარჯვებების წლები.

სახალხო ხელისუფლების პირობებში გაზრდილმა ბავშვებმა არ იციან, ჩვენ კი, უფროსებს, გვახსოვს როგორი იყო ჩვენი ღარიბი სოფელი იასენი 1944 წლის 9 სექტემბრამდე. მთელ სოფელში მხოლოდ რამდენიმე აგურის სახლი იდგა. გლეხები ქოხმახებში ცხოვრობდნენ, ღარიბ-ღატაკნი იყვნენ, დღენიადაგ გაჭირვება იყო მათი თანამგზავრი. გაზაფხულსა და შემოდგომობით ქუჩებში ღრმა ტალახი იდგა, ზაფხულობით კი მათ მტვრის სქელი ფენა ეფინებოდა. არც ელექტრობა, არც რადიო, არც კინო...

ახლა კვალიც კი არ დარჩა ძველი სოფლისაგან. ქუჩების დიდი ნაწილი მოკირწყლულია, აშენდა ბევრი ერთსართულიანი და ორსართულიანი აგურის სახლი. აქა-იქ თუღა შეხვდებით ძველ ქოხებს. მოედანზე აიგო კლუბ-სამკითხველოს ახალი ლამაზი შენობა, რომელშიც კვირაში ორჯერ უჩვენებენ კინოსურათებს. შენდება საზოგადოებრივი პორსაცხობი. დაიწყო ავრეთვე დიდი სახლის მშენებლობა. მასში მოთავსდება სასოფლო საბჭო, ფოსტა, სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობა და სხვ.

კოოპერატორებს თავიანთ ახალ სახლებში კარგი ავეჯი შეაქვთ. რადიომიმღები აქ ჩვეულებრივი მოვლენაა და არა გამონაკლისი, როგორც წინათ იყო. 1949 წელს მოხდა ჩვენი სოფლის ელექტროფიკაცია. თვითეული კოოპერატორის სახლში ახლა შეიძლება ნახოთ გარდეერობი, ორადგილიანი ზამბარებიანი საწოლი, ახალი ღუმელები.

იყო დრო, როცა გლეხები ექიმთან თვით პლევენში უნდა წასულიყვნენ. ამის საშუალება კი გლეხების ძალიან მცირე ნაწილს ჰქონდა. პლევენში გამგზავრება და მკურნალობა მეტად ძვირი ჯდებოდა და გლეხები სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ. ახლა ჩვენს შედარებით პატარა სოფელში არის სამედიცინო პუნქტი, რომელშიც მუშაობენ ექიმი, კბილის ექიმი და მეანი ქალი. თვითეული გლეხი დროულად იღებს უფასო სამედიცინო დახმარებას. ახლა გაქრა ბევრი ისეთი ავადმყოფობა, რომლებიც წინათ მუსრს ავლებდა ადამიანებს. შეიცვალა არა მარტო ჩვენი სოფლის სახე, არამედ მისი ადამიანებიც, რომლებიც ესწრაფვიან სწავლას, სურთ კულტურულად დაისვენონ.

ყველაზე დიდ მიღწევას, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, ჩვენი შრომითი კოოპერაციული სამეწარმოქმედო მეურნეობა წარმოადგენს.

1950 წელს ჩვენში პირველად დაიწყეს ლაპარაკი მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე, და გაბედული კომუნისტები შეუდგნენ კოოპერაციული მეურნეობის მოწყობას. პირველად კოოპერატივში 33 კომლი შევიდა. ახლა კი მთელი გლეხობა (400 კომლი) კოოპერაციული მეურნეობის წევრია. კოოპერაციული მეურნეობა 13.000 დეკარ (1.300 ჰექტარ) მიწას ფლობს.

მძიმე იყო პირველი წლები. არ გვქონდა მანქანები, არ მოგვეპოვებოდა გამოცდილება. შრომადღეზე ძლივს მოდიოდა 4 ლევი. მაგრამ ხალხს სჯეროდა პარტიისა და გულს არ იტეხდა. შარშან კოოპერატორებმა შრომადღეზე 21,3 ლევი მიიღეს და ყოველმა შრომისუნარიანმა კოოპერატორმა შეძლო 7.022 ლევი საშუალო შემოსავლის მიღება.

ახლა მთელ ძალღონეს იმას ვახმართ, რომ შევასრულოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანა — წელსვე გავაორკეცოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა, რაც საშუალებას მოგვცემს ვიგონებთ რა გავლილ გზას, სიძნელეებსა და წარმატებებს, ჩვენ ვიცით, რომ მიღწეული ზღვარი არ არის, ვიცით, რომ კიდევ უფრო შეძლებულად ვიცხოვრებთ.

ჩვენს წინ ბრწყინავს კომუნიზმის ვარსკვლავი და მისკენ მიგვიძღვის ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია, გიორგი დიმიტროვის პარტია.

**ივანე ცვეტკოვი,**
სოფელ იასენის კოოპერაციული მეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე.

**არ არის და არ შეიძლება იყოს სამშობლოს მოყვარული ხალად მოაზროვნე ბულგარელი, რომელიც დარწმუნებული არ იყოს, რომ საბჭოთა კავშირთან გულწრფელი მეგობრობა ბულგარეთის ერთვნული დამოუკიდებლობისა და აყვავებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც კაერი და წყალი ყოველი ცოცხალი არსებისათვის.**

**გ. დიმიტროვი.**



ჰიდროელექტროსადგურის „პეუტერის“ ტურბინის დარბაზი.

## ვარდეგი, ფაგრიკეგი, ბედნიერება

**დინო კიოსევი,**
გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

★

არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა ერთ-ერთ მომქმე ქვეყანაში ვიყავი, მთხოვეს წამეკითხა ლექცია თემაზე „ბულგარეთი ვარდების ქვეყანაა“. ეს თემა ჩემთვის მოულოდნელი იყო. ცხადლივ შევიგრძენი, რომ საზღვარგარეთ, ჩვენს მეგობრებს შორისაც კი, ჯერ კიდევ გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს ბულგარეთი მხოლოდ ან უპირატესად ვარდის ქვეყანა იყოს. ცხადია ისიც, რომ ჯერ კიდევ იყენებენ გეოგრაფიის ისეთ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც ჩვენს ქვეყანაზე მოთხრობილია ისეთი რამ, რაც მისთვის საუკუნის, ნახევარი ან მეოთხედი საუკუნის წინათ იყო დამახასიათებელი. მართალია, ახლაც, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ვარდები ყოველ გაზაფხულს ჰყვავიან და მათი სურნელით გაჟღენთილია ჰაერი სტარა-პლანინასა და სრედნა-გორას შუა მდებარე ველზე, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის მთავარი და დამახასიათებელი არა ვარდები, არამედ სულ სხვა რამ.

კაპიტალიზმისა და ფაშიზმის ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ განვლილ წლებში ჩვენმა ქვეყანამ ისე იცვალა სახე, რომ ვეღარც კი იცნობთ. ბულგარეთის ყოველ კუთხეში, მათ შორის ვარდის პლანტაციების რაიონშიც, აიგო ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების კორპუსები — დიმიტროვგრადსა და დიმიტროვოში, დევნსა და პირდოპში, ბევრ ადგილას. მძლავრმა კაშხალებმა მოათვინიერეს შფოთვიანე მდინარეები და მთის ნაყარები, რომლებიც ამუშავებენ ათობით ჰიდროელექტროსადგურის ტურბინებს, სასიცოცხლო ნამი შეაქვთ კოოპერაციულ მეურნეობების უსაზღვრო მასივებში. სახე იცვალეს ჩვენმა ქალაქებმა და სოფლებმა, რომლებშიც განხორციელდა კეთილმოწყობის ღონისძიებები, უმაგალითო მასშტაბების კულტურული და საბინაო მშენებლობა. ბულგარეთი ყოველი მამართულებით დასერილია მოასფალტებული გზატკეცილებით.

ახლა ადამიანებს არ იკითხავთ? ადამიანები ამაყად თავაწეულნი, თავიანთი შრომით კმაყოფილნი, მტკიცედ მიდიან წინ ახალი და ახალი გამარჯვებებისაკენ.

დღეს, როცა თვალს ვავლებთ თხუთმეტი წლის განვლილ გზას, ჩვენი ხალხი ოცნებს დაუვიწყარი გიორგი დიმიტროვის ბრძანულ ანდერძს. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე დიმიტროვმა წარმოთქვა მნიშვნელოვანი სიტყვები: „უეცლებელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციისა და მიწათმოქმედების მექანიზაციის საშუალებით 15-20 წლის განმავლობაში მივაღწიოთ იმას, რისთვისაც ხალხ ქვეყნებს სხვა პირობებში მთელი საუკუნე დასჭირდებოდათ“.

გიორგი დიმიტროვმა ასე ჩამოაყალიბა უახლოესი 3-4 ხუთწლედის განმავლობაში ბულგარეთის ყოველმხრივი განვითარების ძირითადი ამოცანა. იმ დროს ეს ამოცანა გისმოდა როგორც ანდერძი, როგორც რაღაც შორეული და ძნელად მისაღწევი. გავიდა წლები, და დიმიტროვის ბრძანული სიტყვები ახლა უკვე ხორცს ისხამს.

ზოგიერთნი სტატისტიკის ციფრებისა და მონაცემების ენას მშრალად და მოსაწყენად თვლიან. მაგრამ არის ისეთი ციფრები, რომლებიც აღსავსეა დინამიკით, რომლებიც სიტყვებით აკინძულ სტრიქონებზე უფრო მეტს და უკეთ მეტყველებენ. ასეთია ჩვენი სწრაფი წინსვლის ამსახველი ციფრები, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ციფრები. 1939 წელს, უკანასკნელ ომისწინა წელს, ბულგარეთში მოპოვებული იყო 2.214 ათასი ტონა ქვანახშირი, 1958 წელს კი მოპოვებამ უკვე 12.730 ათასი ტონა შეადგინა. თუ 1939 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება მხოლოდ 266 მილიონ კილოვატ-საათს უდრიდა, 1958 წელს მან 3.000 მილიონ კილოვატ-საათს მიაღწია.

ჩვენ ახლა მრეწველობის ისეთი დარგებიც გვაქვს, სადაც მსგავს შედარებას ვერ გამოვიყენებთ, რადგან მეორე მსოფლიო ომამდე ისინი საერთოდ არ არსებობდნენ ბულგარეთში. ბულგარეთის ბურჟუაზიას ოცნებაც არ შეეძლო შავ და ფერად მეტალურგიაზე, მანქანათმშენებლობასა და ქიმიურ მრეწველობაზე. ამიტომ, როცა ამ დარგების განვითარების ტემპებს ვეხებით, შედარება უფრო მოგვიანო წლებთან მოგვყავს. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1958 წელს დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა 1948 წელთან შედარებით, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია კი — თითქმის 14-ჯერ. მოვიყვანოთ კიდევ ერთი შედარება. 1939 წელს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შეფარდება შეადგენდა 24,8:75,2-ს სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ. 1958 წლის დამლევისათვის კი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეფარდებამ ფასობრივი გამოხატულებით შეადგინა 69,8:30,1 სამრეწველო პროდუქციის სასარგებლოდ. თუ 1949 წელს წარმოების საშუალებათა წარმოება სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში 22,6-ს შეადგენდა, ხოლო მოხმარების საგანთა წარმოება — 77,4-ს, 1958 წლის დამლევისათვის წარმოების საშუალებათა წარმოებამ უკვე 45,8 შეადგინა, ხოლო მოხმარების საგნების წარმოებამ — 54,2.

ეს ციფრები იმას მეტყველებს, რომ ჩვენი ხალხი წარმატებით წყვეტს გიორგი დიმიტროვის მიერ დასახულ ამოცანას და ახორციელებს თავისი ქვეყნის გარდაქმნას. ვარდისა და პამიდორის ქვეყნიდან ბულგარეთი მძლავრი თანამედროვე სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურებისა და წყალსაცავების ქვეყანა ხდება, რაც სრულებითაც არ უშლის ხელს ვარდის გაფურჩქნას, პამიდორის დამწიფებას და სხვ. ჩამორჩენილი და აგრარული ქვეყნიდან ბულგარეთი ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

ზოგიერთ მკითხველს იქნებ აინტერესებს, რა მდგომარეობა აქვთ ბულგარეთის სამხრეთელ მეზობლებს — თურქეთსა და საბერძნეთს, რომლებიც წარსულშიც აგრეთვე ჩამორჩენილი ქვეყნები იყვნენ? პირდაპირ უნდა ითქვეს — ცუდი. თუ 1958 წელს ბულგარეთის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 8-ჯერ გაიზარდა 1939 წელთან შედარებით, თურქეთისა და საბერძნეთის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ამავე პერიოდში ორჯერაც არ გაზრდილა. ასეთი მნიშვნელოვანი სხვაობა მრეწველობის განვითარების, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ტემპებში, ისევე როგორც არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვაობა სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სხვ. დონეში, ცხადყოფს, თუ სად უნდა ვეძებოთ ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი აღმავლობისა და ჩვენი მეზობლების დიდი ჩამორჩენის მიზეზები.

ბულგარეთში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ და დამყარდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ლიკვიდირებულ იქნა კაპიტალისტური ეკონომიკის საფუძვლები და კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა, განხორციელდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა შრომითი კოოპერაციული სამიწათმოქმედო მეურნეობების ბაზაზე, გაჩაღდა გიგანტური მუშაობა ბულგარეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციისათვის, მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის, მიწათმოქმედების მექანიზაციისათვის და სხვ. ყველა ეს წარმატება მოპოვებულ იქნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით, პარტიისა, რომელიც მტკიცედ დგას რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებზე და, რომელმაც მუდმივად შემოიკრიბა მშრომელთა ფართო მასები და წინ მიუძღვის მათ ახალი ცხოვრების აშენებისათვის ბრძოლაში. ეს წარმატებები მოპოვებულ იქნა ხალხის უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმის მეოხებით, დიდი საბჭოთა კავშირის უანგარო ძმური დახმარებით და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ნაყოფიერი თანამშრომლობით.

ხოლო როგორია ჩვენი სამხრეთელი მეზობლების მდგომარეობა? ისინი კვლავინდებურად დარჩნენ ბურჟუაზიის დიქტატურისა და კაპიტალისტურ წარმოებითი ურთიერთობის უღელში, ისინი სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდებიან იმპერიალისტებზე და ახალი ომის მომზადების მათს ავანტიურისტულ გეგმებზე. ყოველივე ეს კი განაპირობებს ეკონომიურ ჩამორჩენილობას, განვითარების მეტად ნელ ტემპებს, ხალხის მასების მძიმე მდგომარეობას.

როცა ჩვენი ხალხი თვალს ავლებს გავლილ გზას, მას გული სიამაყით ეკვსება. მაგრამ იგი სრულიადაც არ ფიქრობს დაკმაყოფილდეს მიღწეულით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი თავისუფალი ცხოვრების სწორედ მე-15 წელი გახდა ჩვენი ქვეყნის ახალი, უდიდესი ეკონომიური აღმავლობის წელი, პირველი წელი სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამისა, რომლის განხორციელება მოსსწავებს ნახტომს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ახალი პროგრამის პირველმა წელმა ცხადყო, რომ იგი რეალურია და შესრულდება. 1959 წელს ბულგარელმა ხალხმა ახალ წარმატებებს მიაღწია როგორც ეკონომიკის, ისე საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. და ეს მისი ყველაზე კარგი საჩუქარია კაპიტალიზმისა და ფაშიზმისაგან ბულგარეთის განთავისუფლების მეთხუთმეტე წლისთავისათვის, სოციალისტური, ახალი ბულგარეთის მეთხუთმეტე წლისთავისათვის.

## ლ ე ვ ა

მოვიარე მთა და ბარი,
კვლავ მოსკოვში დავალ,
სად ხარ, ჩემო მეგობარო,
ქერა გოგო კლავა?

ო, ეგ მკაცრი ხილამაზე
მეჩვენება იქნებ:
ისევ დგახარ ფრონტის გზაზე,
ისევ ალამს იქნევ.

არც ის ხმები დამკარგვია,
როს ბულგარელ ქალებს
შენ უმღერე — რა კარგია
საბჭოთის მხარე!

ის ვარსკვლავი, საჩუქარი,
მკერდზე დამაქვს კვლავაც.
...ხად ხარ, ჩემო მეგობარო,
ჩემო ქერა კლავა?

აი, მეტრო! სწრაფ ვაგონებს
ქერა გოგო მართავს.
რა ვქნა, შენს თავს მომაგონებს,
ეგეც შენ ხარ მართლაც.

ელდის ქარი მატრიალებს,
სიბარული მავსებს,
მაგრამ, არა... შენ კი არა,
ვიღაც, შენი მსგავსი...

ხარაჩოთა დიდი ღობე,
კირის თეთრი ლავა.
ქვისმთლელ გოგოს მოუხმობენ:
— ამხანაგო კლავა!

ისიც სხვაა...
დარბაზს, სავხეს,
ტაშის ხმები ჰფარავს,
ილიმება კონფერანსე:
— ახლა მღერის კლავა!

იქნებ შენ ხარ?
ვდგები. მივალ...
სხვა თვალები ბრწყინავს...
ვერ გიპოვე, გული მტკივა,
კლავა, სად გაქვს ბინა?

და რომ ხმები მოგაწვდინო —
ამ სიმღერით დავალ:
სად ხარ, ჩემო ნიყმაწვილევ,
ჩემო ქერა კლავა?

ბულგარულიდან თარგმნა
**ნაზი კილასონიამ.**

## მეცნიერება ხალხის სამსახურში

ცხრა სექტემბერმა ბულგარულ მეცნიერებას ფართო ასპარეზი გადაუშალა. იგი გასცდა კაბინეტებსა და ლაბორატორიებს, და ჩადგა ხალხის, სოციალისტური მშენებლობის სამსახურში. ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის ზრუნვის შედეგად ბულგარელმა მეცნიერებმა სახალხო ხელისუფლების წლებში შეძლეს მოეპოვებინათ მნიშვნელოვანი წარმატებანი ცოდნის მრავალ დარგში.

მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია საზოგადოებრივმა მეცნიერებამ, რომელიც სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება სოციალისტურ პრაქტიკას ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის საერთო პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და კულტურულ განვითარებას. აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიური პოზიციებიდან დაიწერა ბულგარეთის ისტორია, გამოვიდა თანამედროვე ბულგარული ენის პირველი აკადემიური ლექსიკონი, შედგენილ იქნა ბულგარეთის მთელი რიგი გეოლოგიური, ნიადაგმცოდნეობის, გეოგრაფიული და სხვა რუკები, გამოვიდა მონოგრაფია ბულგარეთის ნიადაგის შესახებ და ორტომიანი მონოგრაფია „ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გეოგრაფია“, რომლის დაწერაში ცნობილმა საბჭოთა მეცნიერებმაც მიიღეს მონაწილეობა; შედგენილ იქნა პირველი ბულგარული ლინგვისტიკური ატლასი, გამოიცა მრავალი ფილოსოფიური, სამართლისმცოდნეობის, ეკონომიური, ისტორიული, არქეოლოგიური, საენთომეცნიერო და სხვა შრომები, ბულგარელი მეცნიერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო ეროვნულ კონფერენციებსა და დისკუსიებში.

მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებას. ბულგარელი მათემატიკოსის — აკადემიკოს კირილ პოპოვის მონოგრაფია, რომელიც მიძღვნილია შეუქცევი პროცესების თერმოდინამიკისადმი, დაჯილდოებულ იქნა პარიზის მეცნიერებათა აკადემიის „ანრი დე პარენოს“ პრემიით.

არანაკლებ მიღწევები აქვს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებასაც, რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტად იყენებენ სას. სამ. პრაქტიკაში.

სოციალისტურ მშენებლობას დიდი დახმარება გაუწიეს ბულგარელმა გეოლოგებმა, რომლებმაც აღმოაჩინეს შავი და ფერადი ლითონების, ქვანახშირისა და არამადნეული წყაროსეულის, ამვიათი ლითონების, ნავთობისა და გაზის მთელი რიგი ძვირფასი საბადოები.

ამჟამად უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ ინსტიტუტში და ცალკეულ უწყებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში 900-ზე მეტი მეცნიერი მუშაკია. ზოგმა მათგანმა, როგორც დამპროექტებელმა, კონსულტანტმა და ექსპერტმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის ისეთი უდიდესი სახალხო სამეურნეო ობიექტების მშენებლობაში, როგორიც არის ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ბატაკის ჰიდროკვანძი, ვასილ კოლაროვის სახელობის, სტალინის სახელობის, დიმიტროვის, სტამბოლიისკის სახელობის წყალსაცავები, კარლ მარქსის სახელობის სოდის ქარხანა და სხვ. უფრო გამოცდილი ბულგარელი სპეციალისტები საზღვარგარეთ მუშაობენ მთელი რიგი ობიექტების მშენებლობებზე.

ენერგეტიკის დარგში შემუშავებულია ჰიდროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების მუშაობის შეხამების უფრო მეტად ხელსაყრელი პირობები, განხორციელებულია ღონისძიებები ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრის ფაქტორის გაუმჯობესებისა და თანდათანობითი ავტომატიზაციისათვის.

პარტია და მთავრობა მეცნიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ყოველმხრივ უწყობენ ხელს მის განვითარებას. ისინი არ იშურებენ სახსრებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისა და მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტით 1959 წელს მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის გათვალისწინებულია 781 მილიონი ლევი. პარტიისა და სახალხო მთავრობის ასეთი ზრუნვის პასუხად მეცნიერ მუშაკთა 5-ათასამანი რაზმი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მაქსიმალური დახმარება გაუწიოს ბულგარეთის მატერიალურ წარმოებასა და სოციალისტურ მშენებლობას.

**ინჟინერი იორდან ენევი,**
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერი მდივანი.

* * *

**სურათზე:** სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## ასე ვიზრდებით

◆ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობა მძლავრ აღმავლობას განიცდის. სხვა დარგებთან ერთად სწრაფი ტემპით ვითარდება მანქანათმშენებლობა და ლითონდამამუშავებელი მრეწველობა, რომელთა პროდუქცია 1939 წელთან შედარებით გაიზარდა: 1948 წელს — 6,2-ჯერ, 1952 წელს — 18-ჯერ, 1957 წელს — 42-ჯერ, 1958 წელს კი — 51-ჯერ.

◆ სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის განვითარებას. კოოპერაციული წყობილების დამყარებამ ძირფესვიანად გარდაქმნა ბულგარეთის სოფელი. ამჟამად მთელი მიწები კოოპერირებულია. გლეხები გაერთიანებული არიან 975 გამსხვილებულ კოოპერაციულ სამიწათმოქმედო მეურნეობად, რომელთაგან თვითეული საშუალოდ 45.000 დეკარ მიწას ფლობს.

◆ შრომითი კოოპერატივების მინდვრებზე და სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობებში მუშაობს 30.000 ტრაქტორი. თუ 1939 წელს ერთი ტრაქტორი მოდიოდა 24.000 დეკარ დასამუშავებელ მიწაზე, ამჟამად იგი მოდის 1.500 დეკარზე.

◆ დიდი წარმატებებია მოპოვებული კულტურული ცხოვრების დარგში.

დღეისანდელ ბულგარეთში გამოდის 37 ცენტრალური გაზეთი 2.056.600 ეგზემპლარი ერთჯერადი ტირაჟით; 30 საოლქო გაზეთი 242.000 ეგზემპლარი საერთო ყოველდღიური ტირაჟით; 11 საქალაქო გაზეთი 40.900 ეგზემპლარი საერთო ყოველდღიური ტირაჟით და სხვ.

◆ ამჟამად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში 43 სახელმწიფო თეატრია, მათ შორის 5 საოპერო და 4 თოჯინებისა.

## რ ე დ ა ქ ტ ი ო ს ა გ ა ნ

**ამ გვერდის მასალები მოამზადა და გამოგვიგზავნა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ რედაქციამ.**

**გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ულოცავს ერთვნულ დღესასწაულს და გულითად მადლობას უძღვნის ბულგარელ თანამოკალმეებს.**

## მეხოლოდ წინ

**რამდენი კარგი რამ შეიძლება ითქვას სოფიის ვასილ კოლაროვის სახელობის მძლავრი დენის ელექტროსადგურის ახალგაზრდა კოლექტივის შესახებ.**

**რას წარმოადგენდა ადრე ის ადგილი, სადაც ახლა ქარხანაა აშენებული? ვრცელ მინდორს — საძოვრებსა და ყანებს! მაგრამ, აი ათი წლის წინათ აქ მოვიდნენ მშენებლები და დაიწყეს მომავალი ქარხნის საამქროების, კორპუსების აგება. შემდეგ აქ მოვიდნენ დედაქალაქის დაქსაქსულ ელექტროსახელოსნო თა მუშები და ტექნიკოსები, თან მოიტანეს თავიანთი მანქანები და მოწყობილობა, ხოლო საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები გზა-ვნიდნენ თანამედროვე მძლავრ მოწყობილობასა და მანქანებს. ახალი ქარხნის კოლექტივს დაუსახეს მნიშვნელოვანი ამოცანა — ბულგარეთის ახალგაზრდა, განვითარების გზაზე მდგომ ენერგეტიკას მისცეს საჭირო ელექტროენერგია.**

**ეს ადვილი საქმე როდი იყო. 1950 წლის აპრილში ქარხანა უშვებდა მხოლოდ დაბალი ძაბვის აპარატურას, ელექტროსახურებელ ხელსაწყოებს, უმნიშვნელო რაოდენობით ელექტრომოტორებს, 2.000 კილოვატ-ამპერამდე სიმძლავრის ტრანსფორმატორებს.**

**ახლა კი? ახლა ქარხანა 31.500-მდე კილოვატ-ამპერი სიმძლავრის ტრანსფორმატორებს უშვებს. რამდენი სიძნელეს დაძლევა მოუხდა ახალგაზრდა კოლექტივს. რთული საქმე იყო ახალი წარმოების თვისება, — იგონებს სატრანსფორმატორო საამქროს მთავარი ინჟინერი ნ. ტოდოროვი. — ჩვენ დაგვავალეს 1.000 კილოვატ-ამპერი სიმძლავრის ოთხი ტრანსფორმატორის გამოშვება. ეს ჩვენთვის დიდი გამოცდა იყო. მაგრამ კოლექტივმა თავი გაართვა მის წინაშე დასახულ ამოცანას. ტრანსფორმატორები ეადაზე ადრე იქნა გამოშვებული. ამას სხვა დავალებები მოჰყვა.**

**ქარხანამ მარტო ტრანსფორმატორების წარმოებაში როდი მიაღწია წარმატებებს. ელექტრომოტორის საამქრო ერთ-ერთი უდიდესია ქარხანაში. რ. კუზმენოვის სახელგანთქმულმა მოწინავეთა ბრიგადამ გამოუშვა 4.000 კილოვატ-ამპერი სიმძლავრის პირველი გენერატორი. გავიდა სულ ცოტა დრო, და ქარხნის კოლექტივმა უკვე აითვისა სხვადასხვა სახის ელექტროძრავების სერიული წარმოება.**

**ქარხნის კოლექტივმა არა მარტო კარგი მუშაობა, არამედ კარგი დასვენებაც იცის. ამა წლის ზაფხულს ქარხნის დასასვენებელ სახლში შავი ზღვის სანაპიროზე, ვარნის ახლოს, ისვენებდა 400-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე. საღამოს სანატორიუმსა და პროფილაქტორიუმში სამუშაო დღის შემდეგ ისვენებენ მუშები.**

**ვასილი კოლაროვის სახელობის მძლავრი დენის ელექტროსადგურის ქარხნის კოლექტივი სათავეში უდგას ტექნიკური პროგრესის ათვის ბრძოლას, ეწევა სულ ახალი და ახალი წარმოების ათვისებას, განუხრელად ამაღლებს თავისი პროდუქციის ხარისხს.**

**მხოლოდ წინ! — ასეთია ქარხნის კოლექტივის ლოზუნგი.**

**მ. ასენოვა.**

## ყ ვ ე ლ ა ზ ე ძ ვ ი რ ფ ა ს ი

**„ყველაზე ძვირფასი სახალხო სიმდიდრე ადამიანის ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობაა“ — ჩვენი დაუვიწყარი მასწავლებლისა და ბელადის გიორგი დიმიტროვის ეს სიტყვები საფუძვლად დაედო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას.**

**1944 წლის 9 სექტემბრის სახალხო გამარჯვებამ ძირეულად გარდაქმნა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. სახალხო მთავრობამ მთავარ ამოცანად დაისახა გაეფართოებინა სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი, და მიიღო ზომები მედიცინის მუშაკთა კადრების საჭირო რაოდენობით მომზადების უზრუნველსაყოფად. წარსულში ჩვენში არსებობდა მხოლოდ ერთი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი — უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, რომელიც ყოველწლიურად მხოლოდ 100 ექიმს უშვებდა. 1944 წელს ბულგარეთში მხოლოდ 3.516 ექიმი იყო. 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ გაიხსნა ორი სამედიცინო ინსტიტუტი, რომლებიც სოფიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტთან ერთად ყოველწლიურად 500 ექიმს ამზადებს. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში უკვე 11.000 ექიმი იყო. ახლა ყოველ 705 მოსახლეზე ერთი ექიმი მოდის.**

**ჩვენში დიდი ყურადღება ეთმობა თანამედროვე მედიცინის მთელი რიგი პრობლემების დამუშავებას. დღეს სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაზღვევის სამინისტროსთან და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიასთან მუშაობს და მოქმედებს 18 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლებშიც ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკია.**

**სახელმწიფო დიდ სახსრებს გამოჰყოფს სამედიცინო და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და საწარმოების საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების და სხვათა მშენებლობისათვის. ამჟამად ბულგარეთში არ არის ისეთი სოფელი, სადაც საავადმყოფო, სამედიცინო პუნქტი ან აფთიაქი არ იყოს



# გაუჯეხელი მთა და კაცი

პირველად უშბა დავინახე იალბუზის ფერდიდან 1925 წელს. ორი მწვერვალი ზეაწეული ხელებივით იყო მიმართული ცისაკენ, ხარბი, გაუმაძღარი...

ორი კვირის შემდეგ სვანეთში ვიყავი. სვიმონ ჯაფარიძე და მე მგლური ნაბიჯით ეცერიდან მოვდიოდით, ჩვენები წინ წავიდნენ და მესტიაში უნდა დავწეოდით.

ერთი ქედის ცხვირს მოვუხვიეთ და მარცხნივ რომ გავიხედეთ, ორივე ერთ ადგილას გავშეშდით.

უშბა იყო ჩვენს წინ ამოტეული, ულრუბლო, ჩაჩქანში ჩამჯდარ რაინდს ჰგავდა, კოპებშეკრულს, გაუღიმარს.

ერთმანეთს გადავხედეთ სუნთქვაშეკრულებმა.

მეორე დღეს ჩვენი ჯგუფი გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით გულის მყინვარზე იყო... მყინვარზე ზევით არვინ ამბირებდა, მყინვარის მორენაზე ნელნელა მიიწევენ ჩვენი პირველი ალპინისტები. უცბად მეჩქარე ბმა: „მიწას გაეკარით...“ და უზარმაზარმა ლოდმა გადაუკროლა თავზე მიწას გართხმულ ჯგუფს... ეს იყო უშბას პირველი შეხვედრა...

„ადვილად ნუ შემომბედავთო...“ ვიცოდით ამბები, რომ მის მწვერვალზე თუ ავიდა რამდენიმე, სამაგიეროდ ბევრი საუკუნო ძილით ჩაიხუტა უშბის მყინვარებმა.

მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ (1934 წ.) შეუბედიდეს ქართველმა ალპინისტებმა სწორუპოვარმა ა. ჯაფარიძემ, მისმა დამ ალექსანდრამ, მოხეველ ი. კაზალიკაშვილმა, სვანმა გ. ნიგურიანმა და... ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება, ამავე დროს ერთგვარი სიმბოლური გამოსახულება იმისა, რომ სვანი, მოხევე და ბარელები იყვნენ ამ შესანიშნავი მწვერვალის დამპყრობნი.

შემდეგ მაინც იმსხვერპლა (1945 წ.) ჩვენი ძვირფასი ადამიანები. მბოლოდ 12 წლის შემდეგ დაგვიბრუნა ალიოშა ჯაფარიძე, ნიკოლოზ მუხინი, ქელეშები ონიანი... აქვე ჰპოვა თავისი ლამაზი სიცოცხლის ბოლო ქიზიყელმა ვაუკაცმა ბაბაკიშვილმა...

მაგრამ არ შეარჩინეს მრისხანება და სისხლი... კაკო მარის ხელმძღვანელობით ბექნუ ხერგიანმა, მაქსიმე გვარლიანმა და გოჯი ზურებიანმა დალაშქრეს უშბა, ფეხქვეშ მოიდეს. მათ ჩაატარეს ურთულესი ტრავერსი შხელდა-უშბისა, უძნელესი კედლების დაძლევით ყველა მწვერვალი გადალახეს და დაამყარეს ამ ტიპის ტრავერსების მსოფლიო მნიშვნელობის რეკორდი. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი (გ. ზურებიანის ნაცვლად ი. გაბლიანი) ავიდნენ უშბაზე დასავლეთის კედლით. შემდეგ იგი მოინახულა მრავალმა ალპინისტმა, ეწვივნენ უცხოელებიც. მაგრამ უშბა რჩებოდა მაინც პირქუში, კოპებშეკრული, მრისხანე და ისეთივე ძნელი და მიუკარებელი, როგორიც იყო დღემდე. წელს შესრულდა 25 წელი, რაც პირველად ჩვენმა ალპინისტებმა დალაშქრეს იგი. წელს ეს უჩვეულო იუბილე მის მწვერვალზე გვინდოდა გადაგვეხადა, აგვენთო მრავალი გამარჯვების მრავალი კოცონი... უშბა თითქოს მიხვდაო, შუბლი უადრესად შეიკრა, მთელი ზაფხულის განმავლობაში შუბლი არ გაუხსნია, წუთით თუ გადიყრიდა ღრუბელს.

— ძია ბექნუ, ხვალ დარი იქნება? — ეკითხება ახალგაზრდა ალპინისტი ჩვენს დიდ ალპინისტს ბექნუ ხერგიანს.

— არა, არ იქნება!

— იმ, როგორ არ იქნება. იქნება!

— დავიცადოთ ხვალამდე, ვნახოთ, — უპასუხებს ბექნუ.

კაშკაშა დილა გათენდა. ცაზე ღრუბლის ქულაც კი არსად ჩანს. ხოლო ლაილას ერთ მწვერვალს აკრავს მუშტის ოდენი ღრუბელი.

— თითქო წვიმა იქნებაო?! — ნიშნის მოგებით ეკითხება ბექნუს ახალგაზრდა.

— ჯერ დილაა, დავიცადოთ!

და მართლაც, ერთი ორი საათის შემდეგ თითქოს ცა ჩამონგრევას აპირებსო, ატყდა ბექა-ქუხილი, წამოვიდა სეტყვა, თქეში.

— ძია ბექნუ! ვინ გასწავლა ამინდის ცნობა?

— ხალხმა, ჩემზე უფროსმა და გამოცდილმა კაცმა!.. და აივნიდან წვიმის ფარდაში გაიხედა უშბისკენ.

ბევრი ეცადა, ბევრი იბრძოლა უშბამ, არ უნდოდა ბინა დანებებოდა იუბილე გადაეხადა ზანზარ, ბაგრან ... ინც იძალეს ბიბებმა, ჯერ უნივერსიტეტის ალპინისტებმა არ უდალატეს ტრადიციას — წელს ტრავერსი მოახდინეს. ესენი იყვნენ შ. მირიანაშვილი, ო. ხაზარაძე, გ. როსტომაშვილი, ვ. მიხაილოვი. შემდეგ კი ჯგუფებმა ვ. გაბელაშვილის ხელმძღვანელობით (დ. გალდავა, ო. დადეშქელიანი, ვ. ნიკოლაური) და მეორე ჯგუფმა ჯ. გუგავას ხელმძღვანელობით, (ი. ბერუაშვილი, გ. კობიძე, გ. წერედიანი) მაინც დახვლიეს, გატეხეს უშბა. მის მწვერვალზე აკიაფდა სინათლე.

ასე იცის გაუტეხელმა ხახიათმა, მთას კი არა, ადამიანსაც რომ აქვს. ადამიანის ნებისყოფა ყველაზე გაუტეხელ მთასაც გატეხს.

ნიკო კაციხოველი.

* * *

ხურათზე: ქარიშხალი უშბაზე.
ფოტო ავტორისა.




## პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი

იუგოსლავიის ქალაქ ბლედში დაიწყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი 8 უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობით.

პირველი ტური შედგა 7 სექტემბერს, საბჭოთა გროსმაისტერმა ტ. პეტროსიანმა წარმატებით ჩაატარა პარტია ფ. ოლაფსონთან და გათამაშების ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა.

ამ ტურში შედეგიანი აღმოჩნდა აგრეთვე პ. ბენკოსა და ს. გლეგორიჩის პარტია. რთული მანევრილებელი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ვ. სმისლოვი და მ. ტალი ერთ პარტიას ამ ტურნირში, არამედ საერთოდ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს დიდ ასპარეზზე. ვ. სმისლოვმა თანდათანობით შეძლო მდგომარეობის გამარტივება, მაგრამ შემდეგ მ. ტალმა გაამწვავა პარტია. ენდშპილი — ვ. სმისლოვი ენერგიულად იბრძოდა და პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. პარტია ვადაიდო.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იდგა პ. კერესისა და ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მოჭადრაკის რ. ფიშერის პარტია. საბჭოთა გროსმაისტერმა მოულოდნელად მოწინააღმდეგეს ლაზერი შესწირა და რ. ფიშერის მეფე საშიშ ქსელში გაახვია. პ. კერესი ცდილობდა, რაც შეიძლება მალე დაეშმეთებია მოწინააღმდეგის მეფე, მაგრამ შეცდა მიზანი ვერ განახორციელა. პარტია გადაიდო. რ. ფიშერის უპირატესობით, თუმცა პ. კერესი ყაიმის შანსებს ინარჩუნებს.

* * *

## ნახევარფინალი ჭადრაკში ქალთა შორის

რიგა, 7 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ საღამოს ლატვიის სსრ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო ნახევარფინალი სსრ კავშირის პირველობისა ჭადრაკში ქალთა შორის. ტურნირში მონაწილეობას იღებს 14 სპორტსმენი, მათ შორის მსოფლიო ექს-ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ლ. რუდენკო (ლენინგრადი).

რიგის ტურნირთან ერთდროულად დაიწყება ნახევარფინალური შეჯიბრებანი ბაქოში, პიატიგორსკსა და ჩერნიგოვში. ამ ოთხი ჯგუფიდან სამ-სამი გამარჯვებული მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას, რომელიც მომდინარე წლის ნოემბერში გაიმართება.

## რამდენიმე სტრიქონით

⊙ „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა განახლდება 13 სექტემბრიდან. სტალინოში ითამაშებენ ადგილობრივი „შახტიორი“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“. ამავე დღეს თბილისს დინამოელები საერთაშორისო მატჩში თავიანთ მოედანზე შეხვდებიან ბულგარეთის საკლუბო გუნდს „ლევსკის“, ხოლო 17 სექტემბერს საკავშირო პირველობაზე მოსკოვში გამართავენ მატჩს დედაქალაქის „ტორპედოსთან“.

⊙ იტალიის ქალაქ ტურინში დასასრულს უახლოვდება სტუდენტთა ასპარეზობა — უნივერსიადა. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა კალათბურთელები ფინალში გავიდნენ. წარმატება ხვდა თბილისელ ჩოგბურთელს ი. რიაზანოვას, რომელმაც ძლიერად ჩაატარა შეხვედრები, ფინალში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენი ზ. სტრაზოვა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

⊙ თბილისში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირველობის გათამაშება ხელბურთში. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა და „განთადის“ ქალთა გუნდებმა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

# საბჭოთა გმირის ხსოვნისათვის

ბრიუსელი, 7 სექტემბერი. (საკადესი). ბელგიაში გერმანელთა ოკუპაციისაგან ბელგიის განთავისუფლების მე-15 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის დელეგაცია. მან მონაწილეობა მიიღო საბჭოთა მეომრის ვასილ ყურავლიოვის საფლავის გვირგვინებით შემკობის ცერემონიაში, ყურავლიოვისა, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ბელგიის განთავისუფლებას. ამ ცერემონიაში, რომელიც გაიმართა დაბა ლინდენში (ბრაბანდის პროვინცია), მონაწილეობას იღებდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილი მებრძოლნი, ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენელნი, ადგილობრივი სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები.

ლინდენის ბურგომისტრმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიუძღვნა საბჭოთა გმირის ხსოვნასა და ბელგიელი პატრიოტებისა და საბჭოთა მოქალაქეების ერთობლივ ბრძოლას ბელგიის განთავისუფლებისთვის. საბჭოთა დელეგაციისაგან გამოვიდა კ. დ. შუკშინი — ბელგიის ლიმბურგის პროვინციის წინააღმდეგობის მებრძოლთა რაზმის ყოფილი მეთაური. ცერემონიის შემდეგ გაიმართა დარბაზობა, რომელიც მოაწყო ბელგიის წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მებრძოლთა ადგილობრივმა კომიტეტმა.

საბჭოთა დელეგაცია დაესწრო აგრეთვე ქალაქ ლიეზში წინააღმდეგობის მებრძოლთა ძეგლის საზეიმო შემკობას ყვავილებით.

# ურღვევი მეგობრობის ნიშნით

ბონნი, 7 სექტემბერი. საკადესის კორესპონდენტი მ. ნიკიტოჩკინი იუწყება:

დღეს პირველ საერთაშორისო ბაზრობაზე ბონნში აღინიშნება საბჭოთა კავშირის ეროვნული დღე. იგი მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით, ყველა ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების ნიშნით.

საბჭოთა პავილიონი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. გუშინ, წინასწარი გამოხგარიშებით, პავილიონში იყო 150 ათასზე მეტი კაცი — ბაზრობის თითქმის ყველა დამთვალიერებელი. კვლავ განსაკუთრებით ბევრი ხალხი ათვალიერებდა საბჭოთა ავტომობილებს „ზილ-111-ს“ და „ჩაიკას“ მინსკის 25 ტონიან თვითმცლელს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, სასოფლო-სამეურნეო და საგზაო მანქანებს.

თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს საბჭოთა მრეწველობის ნაწარმი დამთვალიერებლებზე, ამას ყველაზე უკეთ მეტყველებენ შთაბეჭდილებათა წიგნის ჩანაწერები. აი ზოგიერთი მათგანი: „აღტაცებული ვარ ყოველივე ნახულით“, „ეს ჩინებულია,“ „მე მტაცებედ ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირი გაუსწრებს ამერიკას“.

საბჭოთა კავშირის ეროვნული დღის გამო ბონნის მთელ რიგ საწარმოებში გაიმართა კრებები და საუბრები საბჭოთა კავშირის ცხოვრების შესახებ, კრებები და საუბრები ყველგან გადაიქცა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

დღეს ჩეხოსლოვაკიის უდიდეს მანქანათაშენებელ ქარხნებსა („ტოსში“, „კურციმში“) და ბონნს ი. შვერმის სახელობის ქარხანაში იყვნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის ფინანსტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით და სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი. საბჭოთა სტუმრებმა დათვალიერეს საწარმოთა საამქროები და გაეცნენ მშრომელთა მუშაობასა და ცხოვრებას. მუშები გულითადად მიესალმნენ მომე საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

გამოფენის ტერიტორიაზე სსრ კავშირის ეროვნული დღის გამო უჩვენებდნენ საბჭოთა მხატვრულ და მეცნიერულ ფილმებს. გამოდიოდნენ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, მუსიკალური კოლექტივები.

## ინდონეზიის კომპარტიის VI ყრილობა

ჯაკარტა, 7 სექტემბერი. (საკადესი). დღეს ჯაკარტაში გაიხსნა ინდონეზიის კომპარტიის VI ყრილობა. ყრილობა მოისმენს და განიხილავს ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო მოხსენებას (მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი აიდიტი), მოხსენებას პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ, მოხსენებას პარტიის პროგრამის ცვლილებათა შესახებ. ყრილობა დაამტკიცებს ყრილობის კომისიის მუშაობის შედეგებს, მიიღებს შესაბამის რეზოლუციებს, აგრეთვე აირჩევს პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების ახალ შემადგენლობას.

ყრილობას ესწრება 500 დელეგატი, რომლებიც ინდონეზიის მილიონნახევარზე მეტი კომუნისტის წარმომადგენელნი არიან.

## დ. ეიზენჰაუერი ვაშინგტონში დაბრუნდა

ვაშინგტონი, 7 სექტემბერი. (საკადესი). დღეს ვაშინგტონში დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, რომელმაც 13 დღეს იმოგზაურა ევროპაში. მოგზაურობის დროს მას მოლაპარაკება ჰქონდა დასავლეთ ევროპის მთავრობათა მეთაურებთან და ნატოს წარმომადგენლებთან.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა. წინასწარ დღის წესრიგშია საკითხი: „გენერალური მდივნის მოხსენება ლაოსის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მიღებული წერილის შესახებ“.

# აიკრძალოს ატომური იარაღი

## ბრიტანეთის ტრედუნიონთა 91-ე კონგრესი

ლონდონი, 7 სექტემბერი. (საკადესი). ბრიტანეთის ტრედუნიონთა ყოველწლიური 91-ე კონგრესი, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 8 მილიონზე მეტ მშრომელს. კონგრესი გახსნა ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ რობერტ უილსმა. შეეხო რა ინგლისის მუშათა მოძრაობის ამოცანებს, უილსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მრეწველობის ავტომატიზაციის შედეგად ინგლისში იზრდება უმუშევრობის საფრთხე. უილსის აზრით, პროფკავშირებმა უაღრესად გადაჭრით, მასობრივი გაფიცვების მოწყობითაც კი უნდა იბრძოლონ ასეთი საფრთხის წინააღმდეგ.

თავის გამოსვლაში უილსმა აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევა, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიღწეულ იქნას შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ხაზი გაუსვა რა ამას, რომ მეტად საშიშია ატომური იარაღის გავრცელება, უილსმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის მთავრობამ მოაწყოს ატომური იარაღის გამოცდა, და დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ. თუმცა საკმაოდ ბუნდოვნად, უილსმაც მხარი დაუჭირა იმას, რომ თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციამ კავშირი დაამყაროს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან.

კონგრესის დელეგატთა განსახილველად წარდგენილია 76 რეზოლუცია, რომლებიც ცალკეულმა პროფკავშირებმა შეიტანეს და რომლებიც შეეხებიან ინგლისის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

კონგრესის დღის წესრიგშია, კერძოდ, რეზოლუცია. იგი შეიტანა ინგლისში უდიდესმა ტრანსპორტის მუშათა და არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირმა, რომელიც აერთიანებს 1.300 ათას მშრომელს. ეს რეზოლუცია მოითხოვს გადაისინჯოს ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოსა და ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკა ატომური იარაღის დარგში. რეზოლუცია, კერძოდ, შეიცავს შემდეგ მოთხოვნებს: ინგლისმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ატომური იარაღის გამოცდა სამუდამოდ; ინგლისმა არ უნდა გამოიყენოს ატომური იარაღი პირველმა და არ უნდა დაუშვას, რომ ეს მოხდეს მის ტერიტორიაზე; შეწყდეს ატომური იარაღის წარმოება; აიკრძალოს ატომური ბომბებიანი ბომბდამშვენების ფრენა ინგლისის ტერიტორიაზე; ლიკვიდირებულ იქნას რაკეტული ბაზები ინგლისის ტერიტორიაზე.

საერთაშორისო საკითხებზე დიდმნიშვნელოვანი რეზოლუცია შეიტანა საავტომობილო მრეწველობის მუშათა ეროვნულმა პროფკავშირმა. ამ რეზოლუციაში წამოყენებულია მოთხოვნა, რომ თავიდან იქნას აცილებული დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღება და მოეწყოს მოლაპარაკება ბერლინის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით ორივე გერმანული სახელმწიფოს მონაწილეობით.

კონგრესის განსახილველად წამოყენებულია რეზოლუციები, რომლებიც მკვეთრად აკრიტიკებენ კონსერვატიული მთავრობის ეკონომიური პოლიტიკას, მოითხოვენ გაძლიერდეს ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის, შემცირდეს სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ამაღლდეს ინგლისის მთელი მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების დონე.

კონგრესი განიხილავს მრავალ ორგანიზაციულ საკითხს და ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს საანგარიშო მოხსენებას უკანასკნელი კონგრესის შემდეგ განვლილი ერთი წლის მანძილზე შესრულებული მუშაობის შესახებ.

# ყოველი მხრიდან

## „ლუმანიტეს“ დღესასწაული

პარიზი, 7 სექტემბერი. (საკადესი). საფრანგეთის მშრომელებმა დიდი ენთუზიაზმით აღნიშნეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს“ ყოველწლიური ტრადიციული დღესასწაული. ეს დღესასწაული სამართლიანად არის უდიდესი სახალხო მანიფესტაცია საფრანგეთში.

გუშინ დილიდან საფრანგეთის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათეულ ათასობით პარიზელი და „ლუმანიტეს“ მეგობარი იყო მედონის ობსერვატორიის, (რომელიც პარიზის ახლოს მდებარეობს) პარკის ხეივნებში. აქ იყო 300-ზე მეტი სხვადასხვა სტენდი, რომლებიც მოგვითხრობენ გაზეთ „ლუმანიტეს“ და საფრანგეთის კომპარტიის მოღვაწეობის შესახებ, ექსპონირებული იყო მრავალრიცხოვანი დოკუმენტი, „ლუმანიტეს“ დამაარსებლის ჟან ჟორესის მოღვაწეობის შესახებ. სტენდებს შორის არის ასოციაცია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“, „საფრანგეთ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების“ სტენდი და ბევრი სხვა. ერთ-ერთ მოედანზე, რომელსაც უწოდეს მამაცი ბერძენი პატრიოტის მანოლის გლეზოსის სახელი, განლაგდა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების პრესის ცენტრალური ორგანოების სტენდები, მათ შორის გაზეთ „პრავდის“ სტენდი.

გუშინ ნაშუადღეს გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები. მიტინგზე გამოვიდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გაზეთ „ლუმანიტეს“ დირექტორი ეტიენ ფაჟონი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

მომდინარე წელს გაზეთის დღესასწაული დაემთხვა „ლუმანიტეს“ დამაარსებლის — საფრანგეთის დემოკრატიული მოძრაობის მსოფლიოში ცნობილი მოღვაწის ჟან ჟორესის დაბადების 100 წლისთავს.

ეს თარიღი ფართოდ აღნიშნა საფრანგეთის საზოგადოებრიობამ. პარიზის გარეუბან მონტრეიში გაიხსნა ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილის ძეგლი. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგზე გამოვიდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო, რომელმაც ილაპარაკა ჟორესის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

გაზეთ „ლუმანიტეს“ განვლილი დღესასწაული იმის შესანიშნავი მანიფესტაცია იყო, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი თავისი კომუნისტური პარტიის ერთგული.

## მეცნიერების შუქი კოსმოსში

### ასტრონავტების საერთაშორისო კონგრესი

ლონდონი, 5 სექტემბერი. (საკადესი). დღეს ლონდონში გაიმართა ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის მე-10 კონგრესის დასაკვნითი სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს შეერთებული შტატების, ინგლისის, კანადის, ინდოეთის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ცნობილმა მეცნიერმა ასტრონავტებმა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დელეგაციამ აკადემიკოს ლ. ი. სედოვის მეთაურობით.

კონგრესის დელეგატებმა მოისმინეს მრავალი მოხსენება კოსმოსური ფრენის განვითარების ძირითად პრობლემებზე, პლანეტათშორისი მოგზაურობის პერსპექტივებზე. ახალ-ახალი ტიპის ძრავებზე ატომგულის ენერგიისა და ელექტრომაგნიტური ეფექტების გამოყენებით. დიდი ყურადღება დაეთმო ხელოვნური თანამგზავრების დედამიწაზე დაბრუნების პრობლემას.

კონგრესის მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მიერ წარდგენილმა მოხსენებებმა. აღიარა რა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა შესანიშნავი მიღწევები კოსმოსის ათვისების დარგში, რომელთა ნაშრომებმა შესაძლებელი გახადეს დედამიწის საბჭოთა თანამგზავრებისა და რაკეტების წარმატებით გაშვება მზისაკენ, აგრეთვე პირადად ლ. ი. სედოვის დიდი დამსახურება ამ დარგში, კონგრესმა აკადემიკოსი სედოვი აირჩია ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად.

დახურა რა კონგრესი, ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ლ. ი. სედოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად კაცობრობა დგას პლანეტათშორის სივრცეში ახალ შესანიშნავ აღმოჩენათა წინაშე. მან დადებითად შეაფასა კონგრესის მუშაობა, აღნიშნა რა, რომ დელეგატების განსახილველად წარმოდგენილი მოხსენებები დიდი წვლილია სამეცნიერო შესწავლის საქმეში.

დელეგატებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი ცნობილი პოლონელი მეცნიერის, ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პროფესორ კაზიმირ ზარანკევიჩის ხსოვნას, რომელიც ტრაგიკულად გარდაიცვალა დღეს გულის გასკდომისაგან პირდაპირ სხდომაზე.

## ხალხის ხმა ძლევის ხმაა

### მიტინგი ლაიფციგში

ბერლინი, 7 სექტემბერი. (საკადესი). როგორც ადნის საგენტო იუწყება, გუშინ ლაიფციგში გაიმართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აფრიკის კონტინენტის 18 ერის 200 წარმომადგენელმა. დამსწრეთა შორის იყვნენ აფრიკის ქვეყნების უდიდეს პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

მიტინგზე გამოვიდა დრეზდენის ობერბურგომისტრი პროფესორი გუტე. მან აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტებს სურთ საფრანგეთის იმპერიალისტთა ეკონომიური, პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით დაიპყრონ კოლონიური პოზიციები აფრიკაში. მან შემდეგ აღნიშნა, რომ, დაწყებული 1945 წლიდან, 400.000-ზე მეტი გერმანელი ბონის მთავრობის დასტურით შევიდა საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში. ალჟირში მოქმედი უცხოელთა ლეგიონის ოფიცრებისა და ჯარისკაცების 70 პროცენტს გერმანელები შეადგენენ.

აღნიშნა რა, რომ აფრიკის ხალხებს დიდ საფრთხეს უქმნის ატომური ბომბის აფეთქება საჰარაში, გუტემ მოუწოდა მათ მოაწყონ ბრძოლა იმპერიალისტთა ხრიკების წინააღმდეგ.

მაროკოს შრომის კავშირის მდივანმა ბ. სედიკმა განაცხადა, რომ დემოკრატიის, თავისუფლებისა და მშვიდობის ძალები დღითიდღე იზრდებიან.

მიტინგის მონაწილეებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს საფრანგეთის იმპერიალისტთა იმ გეგმებთან დაკავშირებით, რომ მოაწყონ ატომური იარაღის გამოცდა საჰარაში.

მიტინგი საერთო მოწონებით შეხვდა ნიგერიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარის იმოუდუს წინადადებას იმის შესახებ, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოსთან შეიქმნას ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ მოძრაობის მუდმივი სამდივნო.

მიტინგის დასასრულს მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მიტინგის მონაწილეები მოითხოვენ შეწყდეს კოლონიური ომი ალჟირში, მიენიჭოს დამოუკიდებლობა აფრიკის ყველა ჩაგრულ ხალხს და საკუთარი შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ.

## მექსიკის კომპარტიის ლიდერთა დაპატიმრება

მეხიკო, 5 სექტემბერი. (საკადესი). როგორც გაზეთი „ნოვედადესი“ იუწყება, 3 სექტემბერს ქალაქ ტარეონში (კოაუილის შტატი) რესპუბლიკის უმაღლესი პროკურატურის ბრძანებით დაპატიმრეს მექსიკის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი დიონისიო ენსინა და პარტიის სამი სხვა ხელმძღვანელი მოღვაწე. დაპატიმრების მიზეზი გაურკვეველია.

## ფამ ვან დონგის წერილი

ჰანოი, 7 სექტემბერი. (საკადესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვს მათ უარყონ, როგორც უკანონო, სანანიკონეს მთავრობის თხოვნა „ლაოსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების“ გაგზავნის შესახებ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ლაოსში ახლანდელი სეროზული მდგომარეობის მოწესრიგების ერთადერთი ხერხია ის, რომ ზუსტად დაიცვან და შეასრულონ ჟენევის შეთანხმებანი ლაოსის შესახებ — საერთაშორისო შეთანხმებანი, რომელებიც ცნეს დიდმა სახელმწიფოებმა, აგრეთვე შეთანხმებანი, რომლებიც დაიდო ვიეტნამში ლაოსის შეფის მთავრობასა და პატეტ-ლაოს ძალებს შორის. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ჩარევა ლაოსის საქმეებში და გაიწიოს თავისი სამხედრო პერსონალი ლაოსიდან. ფუი სანანიკონეს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს სამოქალაქო ომი და პატეტ-ლაოს საბრძოლო ნაწილების ყოფილ მონაწილეთა მიმართ ტეროროისა და დისკრიმინაციის პოლიტიკა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ამჟამად საჭიროა სასწრაფოდ განახლდეს ლაოსში საერთაშორისო სამეთვალყურეო და საკონტროლო კომისიის საქმიანობა.

## უცხოეთის ქრონიკა

★ პრაღაში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია დასამუშავებელი ჩარხების ავტომატიზაციის თანამედროვე პრობლემებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის, დიდი ბრიტანეთის, ბულგარეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალისტები. კონფერენციის მუშაობის პროგრამაში შეტანილია მთელი რიგი მოხსენებები დასამუშავებელი ჩარხების ავტომატიზაციის საკითხებზე.

★ მიუნხენში დამთავრდა ქიმიოკოსთა მე-17 საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 39 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, 3500 მეცნიერი. კონგრესმა მოისმინა 500-ზე მეტი მეცნიერული მოხსენება.

★ 7 სექტემბერს ავგუსტოვში (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა) გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი გაზების დინამიკისა და მოლეკულარული აეროდინამიკის საკითხისადმი, კონფერენციაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის თვალსაჩინო მეცნიერები.

★ 7 სექტემბერს ტოკიოდან გამოემგზავრა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ლ. ნ. სოლოვიოვის მეთ